# საჩემპიონო

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 27 ივლისი 2005 №169 (2492) ფასი 50 თეთრი

# ლაუდრუპი: დინამოს ოცნებათა მიქაელ გაბრიელი








## კაცი-რეკორდი

ვილაცამ აუზს გადაუფრინა

13

## საქართველოც ჩემია და ჟირესიც

### გია გურული: ახალკაცთან ხელფასზე თითქმის მოვილაპარაკე

...პირადად ჩემთვის მოულოდნელი იყო ნაკრებიდან გათავისუფლება. ფედერაციამ დაგვიბარა თბილისში და მეგონა, რომ სამუშაოდ ჩამოვიდოდით. მერე რაც მოხდა, იცით. არც მინდა მაგ ამბებში ჩაძიება...

...ორი ვარიანტი მრჩება: ან უნდა ვიჩივლო, ან ფედერაციასთან შეთანხმება უნდა მოვახერხო...

...შოთა არველაძემ, გიორგი ნემსაძემ, გოჩა ჯამარაულმა, ლევან კობიაშვილმა და ლევან ცქიტიშვილმა დაგვირეკეს, თბილი სიტყვები იყო და ალენ ჟირესს ცრემლიც მოადგა თვალზე. იგი შეჰპირდა ფეხბურთელებს, როგორმე მოვახერხებ და თქვენი თამაშის სანახავად ჩამოვალ ხოლმეო...

...ყველას თავისი აზრი აქვს, მაგრამ ჟირესის მოხსნა რამდენად შეეშველება ქართულ ფეხბურთს, ამას დრო გვიჩვენებს...



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2005–2006

## მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი



თბილისი. 26 ივლისი. 20 საათი. ეროვნული. 5 000 (ტევადობა 79 600)

### დინამო 0:2 ბრონდბიუ

0:1 სკუბო (58), 0:2 ელმანდერი (83)

**დინამო:** სტურუა, ალადაშვილი, გიგაური, ორბელაძე, ამისულაშვილი, კანდელაკი, ლ. ნოზაძე (გრიგალაშვილი 80), ბაბუნაშვილი, კ. მახარაძე, ბობოხიძე (აკობია 46), მელქაძე (იაშვილი 63)

*სათადარიგონი:* ზოიძე, გ. ჭელიძე, ნავალოვსკი, მეგრელაძე

**მწვრთნელი:** კახა ცხადაძე

**ბრონდბიუ:** ანკერგრენი, ნილსენი, იოჰანსენი, ლანცი (აბსელნსენი 54), დაუგაარდი, რეტოვი, სკუბო (კამპერი 69), ელმანდერი, სელენსი, აგერი, იორგენსენი (ლორენცენი 77)

*სათადარიგონი:* ზაზა, სკარბალიუსი, კილდენტოფტი

**მწვრთნელი:** მიქაელ ლაუდრუპი

**გაფრთხილება:** ამისულაშვილი (25, 40), კამპერი (73), აკობია (85), გრიგალაშვილი (86)

**გაძევება:** ამისულაშვილი (40)

**მსაჯები:** ჟოლტ საბო, რობერტ კიშპოლი, ზოლტონ ტიმპოში; ზოლტონ სორკო (ყველა უნგრეთი)

**უეფას ინსპექტორი:** როლანდ ტარი (ბელგია)

# ცხადზე ცხადი: სკოლა ცხადაძის ცხადი — ბუდაპეშტი

**დავით თავართქილაძე**

**ზედიზედ** ორი მატჩია, „დინამოს“ ფეხბურთელს უძევებენ. „ბრონდბიუსთან“ თამაშის წინა დღეს კახა ცხადაძემ ამ საკითხზე თქვა, მოედნის მიღმა ლოიალური ვარ, ხოლო ვარჯიშზე და თამაშისას სერიოზული დიქტატორიო. „ბრონდბიუსთან“ მატჩის შემდეგ კი დინამოელთა დამრიგებელმა მეტწილად მსაჯობაზე ისაუბრა, შეიძლება ითქვას, წაგებაში უნგრელი მსაჯები დაადანაშაულა, აქაოდა, მატჩის სცენარი, თუ არ ვცდები, ბუდაპეშტში დაიწერაო.

„ბრონდბიუმ“ გუშინ დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება დატოვა, ვერც მოქნილობით გამოირჩა, ვერც ინდივიდუალური თამაშით, დანიელები თითქოს სკოლაში ნასწავლ გაკვეთილს ჰყვებოდნენ და ისე თამაშობდნენ. სკოლა კი, ზოგადად, კარგია და გამოსადეგი.

რაც შეეხება მსაჯობას, არბიტრის თუ ლაინსმენის ერთი მცდარი გადაწყვეტილება ხშირად თავდაყირა აყენებს ყველაფერს, მაგრამ ამ „დინამოს“ აშკარად აკლია შინაარსი და რეჟისურა. მე ივო შუშკი ვარ და „დინამოს“ ასე ვათამაშებ, მე გია გეგუჩაძე ვარ და „დინამოს“ ისე ვათამაშებ — ასეთი სიმკვეთრე, მკაფიოდ გამოკვეთილი სახე ამ „დინამოს“ ჯერ არ აქვს და მსაჯობაზე მეტად, ალბათ, ამის ბრალია, რომ კბილა გუნდთან შინ 0:2 დამარცხდა.

ცხადაძე რისკზე წავიდა და ალეკო ამისულაშვილი სასტარტოში ათამაშა, თანაც სამკაციან დაცვაში — ამისულაშვილს სათამაშო პრაქტიკა აკლია და მოსამზადებელი ეტაპიც არ გაუვლია „დინამოსთან“. ცხადაძის მეორე რისკი — 18 წლის კახა მახარაძე. ამ ფეხბურთელს მართლაც კარგი მონაცემები აქვს, რაც გუშინდელ პირველ ტაიმშიც აჩვენა, მაგრამ მეორე ტაიმში აბსოლუტურად ჩაიკარგა და ცხადაძემ ის მაინც არ შეცვალა. ცხადაძე მესამედ აღარ წავიდა რისკზე, ფორვარდი ფორვარდით შეცვალა, ლევან მელქაძე და სანდრო იაშვილი ერთად, ვა-ბანკურად არ ათამაშა.

„ლევადიასთან“ და „ბრონდბიუსთანაც“ მოუქნელი იყო „დინამოს“ ნახევარდაცვის ცენტრი, ვერც მარცხენა ფლანგი გამოირჩევა დიდად და საერთოდ, „დინამოში“ ნაკლის დანახვა დიდი ვერაფერი საქმეა, რადგან ეს ძალიან კარგად ჩანს.

მაგრამ ცხადაძის „დინამოს“ ალბათ ვერავინ დაუწუნებს მონდომებას. მატჩის პირველ წუთებში თბილისელებმა თავბრუ დაასხეს სტუმრებს. ჩვეულად გაიბრწყინა მარჯვენა ფლანგზე კახა ალადაშვილმა, თავისი უნარი გვიჩვენა მახარაძემ, „დინამომ“ მეტოქეს კუთხურების ჯერიც მიაყოლა და სკოლაგამოვლილი დანიელებიც აირივნენ, კარგი საგოლე მომენტები გააცუდეს იმავ მახარაძემ და სერგო ორბელაძემ...

პირველი თხუთმეტი წუთის შემდეგ თამაში გათანაბრდა, ზვიად სტურუამ ორჯერ იხსნა „დინამო“, განსაკუთრებით მორტენ სკუბოს მოხდენილი შორეული დარტყმა უნდა გამოვარჩიოთ, ლამაზი ეპიზოდი იყო.

მე-40 წუთზე კი ამისულაშვილი გააძევეს — მან „ბრონდბიუს“ მარჯვენაფლანგელი გეს იორგენსენი მოცელა, მეორე ყვითელი ბარათი მიიღო, არადა, ზოლტ საბოს მართლაც შეეძლო „დინამოს“ დანდობა.

კაცნაკლულმა „დინამომ“ ორ-სამ წუთში მოიკრიბა ძალა კვლავ დაეძგერა მეტოქეს, მაგრამ კვლავაც ვერაფერი დააკლო.

შესვენების შემდეგ ცხადაძემ ამისულაშვილის, ანუ მარცხენა მცველის პოზიციაზე ლევან აკობია გაამწესა, რომელმაც ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა, ისევე, როგორც მარჯვენა მცველმა დავით გიგაურმა, კაპიტანი სერგო ორბელაძე კი სიზუსტით და ხარისხით გუშინ ვერ გამოირჩა.

„დინამო“ მეორე ტაიმის პირველ წუთებშიც მხნე და ანთებული იყო, კაცნაკლულებმა ემოციური მუხტით მეტოქე საჯარიმო მოედანს მიაბჯინა კიდეც, მაგრამ საგოლედ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

ამასობაში დანიელებმა ბურთი, ასე ვთქვათ, გააგორეს, სკოლაში ნასწავლი საგნები გამოიყენეს და გოლიც გაიტანეს — იოჰან ელმანდერის პასით სკუბომ კარგად გაიგდო ბურთი და სტურუას კარის ახლო კუთხეში შეაცურა.

არადა, ეს მატჩის ერთადერთი ეპიზოდი იყო, „ბრონდბიუმ“ ბურთის „გაკატავება“ რომ მოახერხა, თორემ რიცხობრივ უპირატესობას ძალიან ეფექტურად იყენებდაო, ასე მართლაც არ ყოფილა.

გოლის შემდეგ თამაში უფრო გაიხსნა, „დინამო“ თავისას ცდილობდა, ხოლო დანიის ჩემპიონი კონტრშეტევებით იჩხვლიტებოდა, სახიფათო მომენტები აქეთ-იქით იქმნებოდა, თუმც რეალური საგოლე შანსი არავის მისცემია.

„დინამო“ რამდენჯერმე აფეთქდა, არითმიულად უტევდა ათი კაცი თერთმეტს, მაგრამ გოლი ისევ „ბრონდბიუმ“ გაიტანა — ახმახმა ელმანდერმა ღონიერი ცაციით გაიხარა — 0:2.

...ცხადაძეს მაინცდამაინც არ უყვარს, როცა ევროსარბიელზე „დინამოს“ შარშანდელ მიღწევებზე ვსაუბრობთ, მაგრამ მაშინდელი მწვრთნელი გია გეგუჩაძე და მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი მართლაც ერთი გუნდი იყვნენ, ახლა კი, რა ხდება „დინამოს“ სამზარეულოში, ვერ გეტყვით, მაგრამ გარედან ისე ჩანს, რომ ცხადაძესა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის გარკვეული დისტანციაა.



## პრესკონფერენცია



პრესკონფერენციაზე „ბრონდბიუდან“ არავინ გამოცხადდა, დანიელებს მატჩის წინა დღესვე უთქვამთ ამის შესახებ და ჟურნალისტების წინაშე მხოლოდ *კახა ცხადაძე* წარდგა...

— თუ არ ვცდები, მატჩის სცენარი ბუდაპეშტში დაიწერა. ჩემი ფეხბურთელების მადლობელი ვარ, მათ კარგად, მონდომებით ითამაშეს. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ ტაქტიკური შეცდომები არ დაგვიშვია. ტაქტიკური სქემა რამდენჯერმე შევცვალეთ და გამართულად გამოვიყურებოდით. მეტოქის კოზირი კი გამოცდილება და მსაჯის დახმარება იყო. ყველაფერი ეს ერთხელაც ადასტურებს იმას, რომ ჩვენს ქვეყანას უეფაში არასერიოზულად უყურებენ. ეს მთლიანად ქვეყნის უპატივცემულობაა. „დინამო“ დღეს უკეთეს შედეგს იმსახურებდა. რაც შეეხება შემდეგ ეტაპზე გასვლას, ფარ-ხმალის დაყრას არ ვაპირებთ, თუ ასეთ თამაშს მონდომება და იღბალიც დაემატება...



# ახალკაცს თითი დაუქნიეს

**დაახლოებით** ორი თვის წინ თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ჩამოვიდა, ახლა კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი ამბობს, საქართველო მზად არაა, რომ მისი ეროვნული ნაკრებისთვის მაღალი დონის სპეციალისტი ჩამოვიყვანოთო.

როგორ ფიქრობთ, ბუშის ვიზიტით (და არა მხოლოდ) თავმომწონე საქართველოს ხელისუფლებას მოეწონებოდა ახალკაცის ასეთი ნააზრევი?

უტყუარ ინფორმაციას მოგახსენებთ: მთავრობაში ახალკაცის ბოლოდროინდელი ქმედებანი ძალიან არ მოეწონათ — არც ალენ ჟირესის „გადაგდება“ და არც ნაკრებში ქართველი მწვრთნელის დანიშვნის იდეა — აქედან გამომდინარე, ნაკრებში გაიოზ დარსაძის გამწვრთნელების ალბათობამ ძალიან იკლო.

შეგახსენებთ, ახალკაცი სწორედ ქვეყნის ხელისუფლებამ გააპრეზიდენტა და მისთვის თითის ქნევის საშუალება მართლაც აქვს.

ახალკაცი ახლა გერმანიაშია და იქ გამგზავრებამდე განაცხადა, გერმანიაში კონსულტაციები უნდა გავიარო ჩვენს ეროვნულ ნაკრებში ახალი მწვრთნელის დანიშვნასთან დაკავშირებითო. ახალკაცს არ დაუკონკრეტებია, გერმანიაში სახელდობრ ვისგან მიიღებს რჩევებს.

**ლუკა თალაკვაძე**

# დაიტორება ტორპედო?

**დღეს** დილით ქუთაისის „ტორპედო“ ბელარუსში გაფრინდა, სადაც უეფას თასის საპასუხო მატჩში იქაურ ბატეს შეებრძოლება. „შეებრძოლება“, ეგებ, შესაფერისი სიტყვა არც იყოს, ქუთაისელთა და ბორისოველთა შორის კონტრასტი პირველ თამაშშიც ნათლად გამოჩნდა.

მას შემდეგ „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელი შეეცვალა — ოთარ გაბელიას ნაცვლად რევაზ ბურკაძე გათავკაცდა, თუმცა... ბატესთან ქუთათურებს მაინც გაბელია გაუძღვება, მერე კი საბოლოოდ წავა გუნდიდან — ასე გვითხრა გუნდის მეორე მწვრთნელმა გელა კიკალეიშვილმა. იმერლებს ბელარუსში კიდევ უფრო შესუსტებული შემადგენლობა ეყოლებათ, ვიდრე ორი კვირის წინ ჰყავდათ.

მიზეზი კარგად იცით: უფულობის გამო „ტორპედოს“ ფეხბურთელები სხვადასხვა კლუბებში გადავიდნენ.

გელა კიკალეიშვილმა გუშინდელი ვითარება ასე აგვიხსნა:

— დავით გამეზარდაშვილი და ზვიად ჩხეტიანი კოჭის ტრავმის გამო არ გვეყოლებიან, საეჭვოა კახა ებრალიძის გამოჯანმრთელებაც. იმ შემადგენლობიდან, რომელიც ბატესთან პირველ თამაშში გვყავდა, ბელარუსში არ იქნებიან მიხეილ კაკალაძე და დავით ბაქრაძე. სათუოა რევაზ ჯიქიას, დავით ბოლქვაძისა და თემურ რაქვიაშვილის დამატებაც.

— სამაგიეროდ, კობა შალამბერიძე, ნუკრი რევიშვილი, მიხეილ სოსელია და გიორგი გაბელია ჩვენთან არიან. თქმა რად უნდა, ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ უბრძოლველად არაფერს დავთმობთ. დასაკარგიც არაფერია, ბიჭები ცოტა გამოცდილებას შეიძენენ.

— ბატესთან თამაშის შემდეგ, ალბათ, კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი წავა გუნდიდან. მხოლოდ ქუთაისის მერია გვიპატრონებს, თუმცა შესაძლოა, სპონსორი გამოჩნდეს. ვნახოთ, იმედს არ ვკარგავთ.

**ილია ნანობაშვილი**



ოთარ გაბელია „ტორპედოს“ ბელარუსში გაჰყვება

# საქართველოც ჩემია და ჟირესიც

## გია გურული: ახალკაცთან ხელფასზე თითქმის მოვილაპარაკე



**საქართველოს ეროვნული ნაკრები ახალ ცხოვრებას იწყებს — ჟირესისდროინდელზე უკეთესს თუ უარესს, ეს თავად განსაჯეთ და იწინასწარმეტყველეთ. ბუნებრივია, ნაკრებს ფრანგი მწვრთნელის თანაშემწე გია გურულიც ჩამოაცილეს და მასაც დაახლოებით იგივე პრობლემები შეექმნა საკონტრაქტო თანხასთან დაკავშირებით...**

— ახლა დასვენებას ვაპირებ, მაგრამ მანამდე ნოდარ ახალკაცთან კიდევ მექნება შეხვედრა და შეთანხმებასაც მივაღწევთ — გვითხრა გუშინ გია გურულმა.

**— ელოდით თუ არა, რომ ალენ ჟირესს და თქვენ ნაკრებიდან დაგითხოვდნენ?**

— არა, პირადად ჩემთვის მოულოდნელი იყო. ფედერაციამ დაგვიბარა თბილისში და მეგონა, რომ სამუშაოდ ჩამოვიდოდით. მერე რაც მოხდა, იცით. არც მინდა მაგ ამბებში ჩაძიება.

**— ჟირესს დეკემბრამდე გათვალისწინებულ ხელფასს არ აძლევენ. თქვენ?**

— ორი ვარიანტი მრჩება: ან უნდა ვიჩივლო, ან ფედერაციასთან შეთანხმება უნდა მოვახერხო. უკვე შევხვდი ნოდარ ახალკაცს და რაღაც-რაღაცებზე მოვილაპარაკეთ. ცოტა უხერხულ მდგომარეობაში კი ვარ, რადგან ალენი ჩემი მეგობარია და მას ვერანაირად ვერ ვუღალატებ, ფედერაცია კი საქართველოსია და, შესაბამისად, ქართულ ფეხბურთს საქმეს ვერ გავურთულებ.

**— დავუშვათ, ნოდარ ახალკაცმა არ დათმო და ვერ შეთანხმდით. ასეთ შემთხვევაში რას გააკეთებთ?**

— ვერ გიპასუხებთ. ის კი ვიცი, რომ პროფესიულად მივუდგები ამ ამბავს. თუმცა წეღანაც ვთქვი, შეთანხმება თითქმის მიღწეულია.

**— ამ ამბების შემდეგ ნაკრების ფეხბურთელები თქვენ და ჟირესს დაგიკავშირდებოდნენ. რა რეაქცია ჰქონდათ?**

— შოთა არველაძემ, ნემსაძემ, ჯამარაულმა, კობიაშვილმა და ცქიტიშვილმა დაგვირეკეს, თბილი სიტყვები იყო და ალენ ჟირესს ცრემლიც მოადგა თვალზე. იგი შეჰპირდა ფეხბურთელებს, როგორმე მოვახერხებ და თქვენი თამაშის სანახავად ჩამოვალ ხოლმეო.

**— ნაკრების მომზადებისას ბევრი პრობლემა გხვდებოდათ. თუნდაც ყოველდღიურად ვარჯიშიდან ბაზამდე ავტობუსით აქეთ-იქით მგზავრობა, ცუდი მინდვრები...**

— ეს არცთუ პატარა პრობლემებია. დიდი მადლობა „თბილისის“ ხელმძღვანელობას და თენგიზ სულაქველიძეს, რომ თავიანთ სტადიონს გვითმობდნენ. იდეალურად რომ არ ყოფილა ყველაფერი, ყველამ იცის.

**— ნაკრების ფეხბურთელები ამაზე ხშირად ჩიოდნენ...**

— ფეხბურთელი იმისაა, რომ უნდა დაიჩივლოს, კარგი პირობები ყველას უნდა. მეც ასე ვიყავი. ისე, ნაკრები ერთიანი იყო, ბიჭები ჟირესსა და მე პატივს გვცემდნენ.

**— ნოდარ ახალკაცის ნათქვამს — შემადგენლობის დასახელებას მწვრთნელი არ სჭირდება — რა კომენტარს გაუკეთებდით?**

— რა უნდა ვთქვა... ვფიქრობ, სწორედ მწვრთნელმა უნდა დაასახელოს შემადგენლობა, სპორტული მხარე მისი პრეროგატივაა.

**— ნაკრების ფეხბურთელთა უმეტესობა თვლის, რომ წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მწვრთნელთა ხშირი ცვლაა. ამაზე რას იტყოდით?**

— ერთი მხრივ, მწვრთნელების ხშირი ცვლა არაა კარგი, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება საქმეს წაადგეს. ყველას თავისი აზრი აქვს, მაგრამ ჟირესის მოხსნა რამდენად შეეშველება ქართულ ფეხბურთს, ამას დრო გვიჩვენებს. ალენი წელიწადზე მეტი მუშაობდა ნაკრებში და აქედან ბევრი კარგი მოგონება წაჰყვება. მან თქვა, გულით გამიხარდება, თუ საქართველო წარმატებას მიაღწევსო.

**— ბევრი თვლის, რომ ჟირესს ზედმეტად აკრიტიკებდნენ. ამაზე თქვენთვის თუ უთქვამს?**

— შესაძლოა, კონკრეტულად ჟირესის მიმართ არ ყოფილა ზღვარგადასული კრიტიკა, მაგრამ ქართველი გულშემატკივარი ძალიან ტემპერამენტიანია. ეს კარგი კია, მაგრამ ზომიერებაც საჭიროა. არ დამავიწყდება, წლეულს ინგლისის პრემიერლიგიდან რომელიღაც გუნდი გავარდა, ტრიბუნებზე 10 წლის ბავშვი მამასთან ერთად იდგა და ცრემლად იღვრებოდა. ჩვენთან ასეთი რამ იშვიათია. საბერძნეთთან ორმა დათარსულმა წუთმა წაგვაგებინა: სანამ ამ გოლებს გავუშვებდით, სტადიონი ქუხდა, მერე კი გინების კორიანტელი წამოვიდა. გუნდის ასე გაწირვა არ შეიძლება, ფეხბურთელს გული უტყდება.

**ილია ნანობაშვილი**

## geo_geo_fan@hotmail.com

*დღევანდელი ფოსტა გუშინდელთან შედარებით მწირი და ლოიალურია. ჟირეს-ახალკაცის დაპირისპირებაზე ოდენ სამმა ქომაგმა ისურვა აზრის გამოთქმა...*

**MEZVRO**: მაგრად მეწყინა ჟირესის განთავისუფლება, ეგრე არ არის, უცებ კაცს შედეგი მოთხოვო, უნდა ეცლიათ, ჩემი აზრით სწორ გზაზე დააყენებდა ნაკრებს. სიმართლე მგონია ჟირესის სიტყვები — ახალკაცმა გარკვეული ხალხის ნაკრებში თამაში მომთხოვაო. ვისი რა საქმეა ჟირესი ვის ათამაშებდა და ვის არა?! არ მომწონს ეს ახალკაცი, რაღაც სიყალბეა მაგ კაცში. ჟირესის ინტერვიუებს რომ ვადევნებდი თვალს, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, მხოლოდ დადებითი განწყობა მეუფლებოდა მაგ კაცის მიმართ — ჭკვიანი და მიზანდასახული პიროვნება ჩანდა, რომელიც თავის სიტყვას საბოლოოდ მაინც იტყოდა და გული მწყდება მას ეს შანსი რომ მოუსპეს.

კიდევ ერთი უკან გადადგმული ნაბიჯი...

**GUGA-75**: ვერ გავიგე, ვის რა უნდა ამ ქვეყანაში. ეს ახალკაციც ძველ ჩვენებას აწვება. ისე, სიმართლე გითხრათ, ამ გაიოზ დარსაძეზე არაფერი ვიცი და ვერც ცუდს ვიტყვი და ვერც კარგს, მაგრამ ჩემი აზრით, საქართველოში საუკეთესო მწვრთნელი გია გეგუჩაძეა, მაგრამ მაინც უცხოელი მირჩევნია ყველაფერს!!!

**KIO-KIO**: „სარბიელს“ მივესალმები! რამდენი კაციცაა, იმდენი აზრიაო და მეც ჩემი მოკლე ჭკუით ვიტყვი, რომ ნოდარ ახალკაცი კარგ გზას დაადგა; ვერ გამიგია, რატომ ატყდა ასეთი ამბავი ჟირესის მოხსნაზე, შედეგი ჰქონდა თუ რა? ჟირესი კი არა, კუპერი და ლიპი მოუხსნიათ. ერთი ეგ არის, ახალკაცს ის არ უნდა ეთქვა, შემადგენლობის დაყენებას მწვრთნელი არ სჭირდებაო.

სხვა რა? უნდა მივხვდეთ, რომ იგივე არველაძე ნაკრებისთვის აღარაა საჭირო, ეგ კაცი წარსულია და რაც შოთას ქართული ფეხბურთისთვის გაუკეთებია, იმისთვის მადლობას ვუხდით. აღარც ჭ კლასის მჟავანაძე და ამისულაშვილი გვინდა, სწორედ რომ გაახალგაზრდავება სჭირდება ჩვენ ნაკრებს. ეს ციკლი ისედაც ჩავარდნილია და მომავალზე ზრუნვაა საჭირო. არ ვიცი, ვის დანიშნავენ ჟირესის ადგილზე, მაგრამ ვინც არ უნდა დანიშნონ, (თუნდაც მთლად უსახელო იყოს), დრო უნდა მივცეთ. ასე რომ, ნუ წავიშენთ თავში ხელებს.

*ეს არის და ეს, ვისაც გული სხვას გეუბნებათ, მოიწერეთ...*

**WEB-ოსტატი გუარა**

geo_geo_fan@hotmail.com

# სამ წელიწადში გვნახავთ

## გოჩა თამაზაშვილის გერმანული ამბები

*„თბილისის“ ახალარჩეული პრეზიდენტი გოჩა თამაზაშვილი რამდენიმე დღე გერმანიაში იმყოფებოდა, სადაც უეფას მიერ მოწყობილ მწვრთნელთა საერთაშორისო კონგრესს დაესწრო. თამაზაშვილი გელზენკირხენშიც ჩავიდა და „თბილისის“ ახალგაზრდა თავდამსხმელის, რევაზ ბარაბაძის „შალკეს“ ახალგაზრდულ გუნდში შესაძლო გადასვლის საკითხს აგვარებდა. გარდა ამისა, თამაზაშვილს, ცხადია, „თბილისის“ სამომავლო გეგმებზეც ვკითხეთ...*



— კონგრესი დიუსელდორფში გაიმართა და მას გერმანელი მწვრთნელების გარდა სხვა ქვეყნის სპეციალისტებიც ესწრებოდნენ. კონგრესზე სიტყვით გამოვიდნენ „ფენერბაჰჩეს“ თავკაცი კრისტოფ დაუმი, ოტმარ ჰიცფელდი და „კიოლნის“ მწვრთნელი უვე რაპოლდერი. მე კი მწვრთნელთა ასოციაციის წევრი ვარ და სიამოვნებით დავესწარი ამ კონგრესს, ასე ვთქვათ, დამსწრე ვიყავი. ჩემთან ერთად იყვნენ რუსეთის ნაკრების მწვრთნელი იური სიომინი და იენის „კარლ ცაისის“ ექსთავკაცი ჰანს მაიერი.

**— საკლუბო ფეხბურთის პრობლემებზეც ხომ არ გილაპარაკიათ?**

— ამაზე უფრო გელზენკირხენში ვილაპარაკეთ. მე სპეციალურად კონგრესზე დასასწრებად ჩავედი გერმანიაში, მაგრამ ჩემი იქ ყოფნა რევაზ ბარაბაძის „შალკეში“ შესაძლო გადასვლას დაემთხვა და, ბუნებრივია, ჩვენი კლუბის ფეხბურთელს ჩავაკითხე. იქ „შალკეს“ მთავარ სკაუტ ჰელმუტ შულტერთან მქონდა საინტერესო შეხვედრა. შულტერს კლუბის ახალგაზრდული გუნდის საქმეები აბარია, მას ქართული ფეხბურთის უკეთ გაცნობა სურს და მეც თბილისში მოვიწვიე. შულტერი, ალბათ, სექტემბერში ჩამოვა — მინდა, მისი აქ ყოფნა სანაკრებო თამაშებს დაემთხვეს.

**— რევაზ ბარაბაძე რჩება „შალკეს“ ახალგაზრდულ გუნდში?**

— არა, იგი ამ სეზონში „თბილისში“ ითამაშებს. რეზომ გელზენკირხენში საკუთარ შესაძლებლობები წარმოაჩინა, მაგრამ საქმისთვის ჯობდა, რომ „შალკეს“ იუნიორთა გუნდის ნაცვლად უმაღლეს ლიგაში სისტემატურად ეთამაშა. ამ ეტაპზე თავადაც ასე ამჯობინა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბარაბაძე „შალკეს“ თვალთახედვის არეში აღარაა. „თბილისს“ ამ კლუბთან მჭიდრო კავშირი ექნება და შესაძლოა, ჩვენი სკოლის საუკეთესო ჭაბუკები „შალკემ“ წაიყვანოს.

**— „თბილისიდან“ თითქმის ყველა ცნობილი ფეხბურთელი წავიდა. ლაპარაკი იყო ბექა ვლენტისა და გიორგი ფოფხაძის გაშვებაზეც. მათზე რას იტყვით?**

— ისინი გუნდში ვარჯიშობენ, თუმცა დანამდვილებით ვერ გეტყვით, ორივე მათგანი დარჩება თუ არა.

**— კლუბისთვის ისევ „ოლიმპის“ სკოლის ფეხბურთელების აღზრდა იქნება პრიორიტეტი?**

— ჯერ სულ ორი კვირაა, რაც „თბილისის“ პრეზიდენტი ვარ, მაგრამ უკვე გადავწყვიტე, კლუბის განვითარების გეზი შევცვალოთ. ჩვენ შესანიშნავი ბავშვთა სკოლა გვაქვს და არ შეიძლება, ფეხბურთელები სხვაგან ვეძიოთ. „ოლიმპის“ ბავშვებზე გავაკეთებთ აქცენტს.

**— ესე იგი, „თბილისს“ ამ სეზონში მაინცდამაინც მაღალი ადგილებისთვის ბრძოლის ამბიციები არ უნდა ჰქონდეს...**

— ამ ეტაპზე მთავარია, „თბილისის“ ახალგაზრდა გუნდმა ბრძოლისუნარიანობა და სწორი ფეხბურთი ისწავლოს. ჩვენი პროგრამა სამწლიანია, ეტაპ-ეტაპ ვივლით და სამ წელიწადში შეღეგზეც ვიზრუნებთ.

**ილია ნანოგაშვილი**

# საღოლქარდაშული ამბები

## იქ, სადაც 600 ათას ევროს კასპიის ზღვაში ყრიან

*„ამერის“ აზერბაიჯანული შეკრებისას, ბუნებრივია, ჩვენს სამეზობლოში საფეხბურთო მეურნეობის მოწყობითაც დავინტერესდი, რომელიც რაღაცით ჰგავს ქართულს, თუმცა, ცხადია, განსხვავებაც ბევრია.*

*აზერბაიჯანში უყვართ ფეხბურთი — ქართველებზე მეტად არა, მაგრამ უყვართ. „ამერის“ ამხანაგური მატჩებისას ტრიბუნაზე გულშემატკივრები და ჟურნალისტები საქართველოს ნაკრების ამბებსაც კითხულობდნენ და ლანჩხუთის „გურიისაც“, საკავშირო პირველობიდან რომ არ დავიწყებიათ...*



ეს იმ ოლიმპიური კომპლექსის მოედანია, სადაც „ამერმა“ შეკრება გაიარა

ბაქო თბილისზე დიდი, მდიდარი და მოვლილი ქალაქია — სიდიდით ვერასდროს გავასწრებთ, ალბათ, ვერც სიმდიდრით, მაგრამ ეგებ მალე უფრო მოვლილი მაინც გავხადოთ ჩვენი დედაქალაქი.

ბაქოელ გოგოებს უფრო მოკლე კაბები აცვიათ, ვიდრე თბილისელ გოგოებს, თბილისელი ბიჭები კი იქაურებზე მოდურად იცვამენ.

აზერბაიჯანის პრეზიდენტის კორტეჟი ჩვენი პრეზიდენტისაზე მცირერიცხოვანია.

აზერბაიჯანში დიდი გასავალი აქვს ქართულ ლარს და „ნაბეღლავს“.

ბაქოში პირველსავე შემხვედრ რესტორანში შესულებმა აღმოვაჩინეთ, რომ პერსონალს უნიფორმაზე ქართულად ეწერა „ოქროს გრაალი“.

იქ სათვალავი არ აქვს ჰეიდარ და ილჰამ ალიევების ვეება ბანერებს.

პროვინციებში სიღარიბე იგრძნობა.

ეს ისე, თვალის ერთი შევლებით მიღებული შთაბეჭდილებები, უფრო ღრმა დაკვირვებით მიღებულ შთაბეჭდილებებზე წერა კი ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს — მიზანი აზერბაიჯანულ ფეხბურთზე თხრობაა. ოღონდ აქვე ვთქვათ, რომ ეს მონათხრობი ძირითადად ნაცნობი აზერბაიჯანელი სპორტული ჟურნალისტების მონაყოლს ეყრდნობა, ხოლო რამდენად ალალები იყვნენ ის ჟურნალისტები, თავს ვერ დავდებ.

ფაქტია, რომ დღეს აზერბაიჯანულ კლუბებში დიდი ფული ტრიალებს. თავისთავად „დიდი ფული“ ზუსტი განსაზღვრება არ არის და შევეცდები, განვმარტო: ლიდერ აზერულ კლუბებს იმდენი ფული აქვთ, ქართული კლუბები კარგა ხანს ოცნებასაც რომ ვერ გაბედავენ, თუმც იქაური პატარა კლუბებიც კი ჩვენს კლუბებზე მნიშვნელოვნად შეძლებულები არიან.

ზოგადად, ფული განვითარების და გაძლიერების საშუალებას იძლევა, მაგრამ აზერბაიჯანის შემთხვევაში ერთი უხერხულობა მაინც არის. კერძოდ, ის, რომ კლუბებს სამინისტროები და კორპორაციები აფინანსებენ და ეს ამბავი „ზემოდან“ დირექტივის გარეშე არ ხდება. უწყებებს დაქვემდებარებული გუნდები კი, როგორც წესი, ისე ვერ ვითარდებიან, როგორც იგივე რაოდენობის ფულით ფეხბურთის მოყვარული კერძო პირები განავითარებდნენ.

თუმცა ფული მაინც აკეთებს თავისას, თუნდაც იმიტომ, რომ ძლიერი ფეხბურთელების მიყვანა შეიძლება. ასეთი მაგალითი მოვიყვანოთ: თავის დროზე თურქული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიჩნეული ოქტაი შარშან ლენქორანის „ხაზარმა“ წაიყვანა და 600 ათასი ევრო ჩაუთვალა.

მაგრამ ამ ტრანსფერს მეორე მხრიდანაც შევხედოთ: ოქტაის კონტრაქტი 6-თვიანი იყო და ამ ვადის გასვლის მერე ფეხბურთელს მადა ერთ მილიონ ევრომდე გაეზარდა. კლუბმა უარი უთხრა და ოქტაიც წავიდა. ანუ ხომ არ გამოდის, რომ ნახსენები 600 ათასი ევრო მთლად გონივრულად არ დაიხარჯა?

ცნობისთვის: „ხაზარს“ 50 ტანკერის მეპატრონე აზერბაიჯანის საზღვაო სანაოსნო „პალმალი“ პატრონობს. ოქტაის ამბავი კი ჩვენი ვარაუდით დავასრულოთ: თურქის 6-თვიანი და 600 ათასიანი კონტრაქტი „ზემოთ“ საჩვენებელი აქცია უფრო იყო, აი, როგორ ვზრუნავთ აზერბაიჯანული ფეხბურთის განვითარებაზეო.

ისე, აზერბაიჯანში, ვერც „ზემოთ“ და ვერც „ქვემოთ“ ჯერ ვერ ჩამოყალიბებულან, რომელი გზა აირჩიონ. კლუბები მოწვეული უცხოელებით გააძლიერონ თუ აქცენტი საკუთარი ფეხბურთელების აღზრდაზე გააკეთონ.

სხვათა შორის, საქართველოზე ბევრად მკვიდრმრავალ აზერბაიჯანში ცალი ხელის თითებზე ჩამოსათვლელი ბავშვთა საფეხბურთო სკოლაა.

განვითარების კონცეფციის არქონაზე ორი ფაქტი მიგვანიშნებს. პირველი: აქამდე აზერბაიჯანში კლუბებს ხუთი უცხოელის ყიდვის უფლება ჰქონდათ, ახლა კი 5+2 ფორმულის დაწესებას გეგმავენ. ანუ ლიმიტი შვიდამდე იზრდება, მაგრამ მათგან მხოლოდ ხუთს შეეძლება მოედანზე ერთდროულად ყოფნა. ეს ნიშნავს, რომ უცხოელთა ჩამოყვანას ხელს უწყობენ.

მეორე: გუნდში თითოეულ უცხოელზე კლუბმა ფედერაციას სოლიდური თანხა უნდა გადაუხადოს. ეს უკვე დაკანონდა და პირველი ფაქტისგან განსხვავებით, საკუთარი ფეხბურთელების წახალისებაზე მიგვანიშნებს.

დავძინოთ, რომ ფედერაციის ამ გადაწყვეტილებამ კლუბებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და აქა-იქ ლოკაუტზეც კი ჩამოაგდეს სიტყვა.

კიდევ ერთი დაკვირვება: აზერბაიჯანული გუნდები თავმოყვარეობის ამბად თვლიან შემადგენლობაში თუნდაც ერთი შავკანიანი ფეხბურთელის ყოლას.

ბიზნესიც აწყობილია — მავანნი ნიგერიიდან და სენეგალიდან ბითუმად ჩამოჰყავთ ფეხბურთელები, შეჰყრიან სასტუმროში და კლიენტს ელიან. მათი გასინჯვის მსურველი ბევრია და დაატარებენ კლუბიდან კლუბში, მაგრამ მიხვდებოდით, ბითუმად ჩამოყვანილები რა კლასის ფეხბურთელებიც იქნებიან და მათგან თითო-ოროლას თუ ეღირსება ხოლმე აზერბაიჯანულ კლუბში ფეხის მოკიდების ბედნიერება. დანარჩენები ცხოვრობენ თვეობით სასტუმროში და ჩამომყვანები მხოლოდ მათ კვებას უზრუნველყოფენ.

ბოლოს კი ის ვთქვათ, რომ წინა სეზონში იქაური უმაღლესი ლიგა 18-გუნდიანი იყო, ახალ სეზონში კი 16-გუნდიანი იქნება.

**გიორგი დარჯანია**



ხუან ლაპორტა



ტიაგო მოტა



მარკ ვან ბომელი

# ბარსელონას სუფთა მკერდი

## მოტას დიდი თითი

„ბარსელონა“ კიდევ ერთი წლით დააძველებს 106-წლიან ტრადიციას და მაისურაზე სპონსორს არ „დაიხატავს“.

„ბარსას“ პეკინის მომავალი ოლიმპიადის რეკლამისთვის ხუთწლიან კონტრაქტს და 100 მილიონ დოლარს სთავაზობდნენ. ჯერ კიდევ მაისში, კლუბის პრეზიდენტი ჩინეთში ჩავიდა და პირობები თითქოს შეათანხმა, მაგრამ საბოლოოდ გადაწყდა, რომ „ბარსელონა“ ამ სეზონშიც „სუფთა“ მაისურებით ითამაშებს.

„ჩვენი ბიუჯეტი მსუყეა და ფინანსურად არ გვიჭირს — განაცხადა ლაპორტამ — ამიტომ პრობლემა არ იქნება, ცოტა ხანს თუ მოვიცდით“.

სხვა ბარსელონური ამბებიდან კი მოტაზე, ესკეროზე და ვან ბომელზე ვთქვათ. ტიაგო მოტას გასული სეზონის შვიდი თვე მუხლის ტრავმის გამო გაუცდა, ახლა კი მარცხენა ფეხის ცერა თითზე ოპერაცია გაუკეთეს. ექიმმა თქვა, ზუსტად არ ვიცი, რამდენ ხანში გამოკეთდებაო.

„ბარსას“ ახალწვეული სანტიაგო ესკეროც დაშავებულია, მას ვარჯიშზე ბარძაყის კუნთი ასტკივებია და სამი კვირა მკურნალობა მოუწევს. ორივე ფეხბურთელი გამოტოვებს აზიურ ტურნეს, რომელიც ხვალ იწყება.

ჰოლანდიელი მარკ ვან ბომელის თამაშით კი ბელეტი და ვან ბრონკჰორსტი მოხიბლულან. დანიურ „ორჰუსთან“ 4:0 მოგების შემდეგ, მარკ ვან ბომელი ორივეს უქია — ინტელიგენტი ფეხბურთელია, უთქვამს ბელეტის, „ბარსელონას“ ნახევარდაცვას კიდევ უფრო გააძლიერებსო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# შევჩენკო პრინციპზე დარჩება

## ინძაგიმ ჯილა დაინახა

**იტალიური** „მილანის“ ლიდერმა ანდრეი შევჩენკომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, კარლო ანჩელოტისთან არანაირი უთანხმოება არ მაქვს, და, რა თქმა უნდა, გუნდში ვრჩებიო. მიუხედავად ამისა, თუ ჭორებს ვენდობით, რომან აბრამოვიჩი არ ისვენებს და უკრაინელში ახლა უკვე 84 მილიონ ევროს იხდის.

ანდრეი შევჩენკო: „ბოლო პერიოდში პრესაში ბევრი სისულელე წავიკითხე. მე და ანჩელოტიმ ჩვეულებრივად ვისაუბრეთ. ყოველთვის იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ და აზრი არ შემიცვლია, ჩემი პრინციპები მაქვს. „მილანში“ თავს კარგად ვგრძნობ და წასვლას არ ვაპირებ“.

გასული ორი წლის მანძილზე ტრავმებით გატანჯული ფილიპო ინძაგი კი წესით მალე საბოლოოდ უნდა მომჯობინდეს. ვეტერან ფორვარდს სჯერა, რომ ძველებურად ათამაშდება და საკუთარ გულშემატკივრებსაც აიმედებს.

„არ მინდა, ჩემი გოლები მხოლოდ წარსულში დარჩეს. იმედია, უფრო მეტს გავიტან და ფორმას დავიბრუნებ. ორი ოპერაცია გადავიტანე, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა. ვიცი, გულშემატკივრები ჩემს დაბრუნებას ელიან და ნერვიულობენ, რაც არ არის საჭირო. მე არანაკლებ მოტივირებული ვარ და აუცილებლად ძველებურად ავთამაშდები“ — განაცხადა ინძაგიმ.

ბოლოს პიპომ ალბერტო ჯილარდინოზეც ისაუბრა: „მიხარია, რომ იგი ჩემი თანაგუნდელია. ალბერტო ჯერ 23 წლისაა, მაგრამ უკვე ჩამოყალიბებული და ჭკვიანი ფეხბურთელია. შევეცდები, მას ყველანაირად დავეხმარო და გვერდზე დავუდგე. ვფიქრობ, ერთად ბევრის მიღწევა შეგვიძლია. ასევე მინდა, ყველა ახალგაზრდა მოთამაშეს მივცე რჩევები და ხელი შევუწყო“.

აქვე ვთქვათ, რომ წუხელ „როსონერი“ ამერიკაში „ჩიკაგო ფაიარს“ ამხანაგურად გაეჯიბრა და ჯილარდინოს მილანური დებიუტიც სწორედ ამ მატჩში შედგა. მისი მეწყვილე გუნდის კიდევ ერთი ახალი ფორვარდი კრისტიან ვიერი იყო.

**გიორგი ძაძაგაძე**



ანდრეი შევჩენკო



ფილიპო ინძაგი

# კუნ ფუ მანჩესტერული

## პარკმა ჩინეთში გაიხარა

**სამხრეთკორეელმა** ჯი-სუნგ პარკმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაისურით პირველი გოლი გაიტანა, ფერგიუსონის გუნდმა კი ჯუმინ ჩინური „ბეიჯინ გუო“ 3:0 დაამარცხა.

შესვენებამდე პრემიერლიგელებს ოხრად საგოლე მომენტი ჰქონდათ და მხოლოდ ორჯერ იხეირეს. პოლ სქოულზმა მეორმოცე წუთზე კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი თავით შეაბრძანა ჩინურ კარში, ტაიმის მიწურულს კი რუუდ ვან ნისტელროის პასით მანვე იხეირა — საჯარიმოს გარედან ლეწა.

მეორე ნახევარში კი პარკმა პირველი მანჩესტერული გოლი შეაგდო — კორეელს პასი კრისტიანო რონალდომ „გამოუწერა“.

ამის შემდეგ, ჩინელებმა ამხანაგობა დაივიწყეს და სტუმრებს ფეხებში ურტყეს, რაზეც მანჩესტერელებმაც ფეხების ქნევით უპასუხეს. ორი ჩინელი ფეხბურთელი ექიმებმა „გაიტანეს“, ალან სმიტი და ფილ ნევილი კი მსაჯმა გააფრთხილა.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ აზიური ტურნეს პირველ მატჩში ჰონკონგელებს 2:0 მოუგო, ახლა ჩინეთიდან იაპონიაში გაემგზავრება, სადაც „კაშიმა ანთლერსსა“ და „ურავა რედსს“ გაეჯიბრება.

**ვაჟა ხუციშვილი**



პოლ სქოულზი ჯი-სუნგ პარკს „მანჩესტერში“ პირველ გატანილ გოლს ულოცავს

# გენუაში მატებაა



ლუკა კასტელაცი

**გენუის** „სამპდორია“ ორი ფეხბურთელით გაძლიერდა — „სტადიო მარასის“ ბინადრებმა ახალგაზრდა ნახევარმცველი იგნაციო აბატე და გამოცდილი გოლკიპერი ლუკა კასტელაცი დაიმატეს.

18 წლის აბატე, რომელიც „მილანის“ საკუთრებაა, „სამპდორიაში“ მომავალ ზაფხულამდე იბურთავებს და მერე ეგებ გენუელებმა მისი კონტრაქტი ბოლომდე გამოისყიდონ. აბატემ გასული სეზონი „ნაპოლიში“ გაატარა, სადაც გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც იქცა.

„ვწუხვართ, რომ „ნაპოლის“ დატოვება მიწევს. სერია B-ში გადასვლა ვერ მოვახერხეთ და „მილანმაც“ ამიტომ გადაწყვიტა, „სამპდორიაში“ გავეშვი. გენუელთა რიგებში ნამდვილად ბევრ რამეს ვისწავლი. გუნდის თავკაცი ვალტერ ნოველინო არაფერს შემპირებია და ვიცი, სერიოზული კონკურენცია იქნება, მაგრამ როგორმე ადგილი უნდა დავიმკვიდრო“ — აღნიშნა აბატემ.

რაც შეეხება კასტელაცის, მან ცოტა ხნის წინ „ბრეშასთან“ კონტრაქტი გაწყვიტა და თავისუფალი აგენტი გახდა. იგი ბოლო ერთი კვირის მანძილზე „ტორინოში“ ვარჯიშობდა და თითქოს საცაა კონტრაქტიც უნდა გაეფორმებინა, მაგრამ ტურინელებს ფინანსური პრობლემები აქვთ, რის გამოც სერია A-ში ითამაშებენ თუ არა, ჯერ საეჭვოა. ამიტომ, 30 წლის მეკარემ სხვა კლუბის ძიება დაიწყო, რასაც დიდი დრო არ დასჭირვებია.

ვეტერანმა კარის დარაჯმა გენუელებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იგი სავარაუდოდ, ფრანჩესკო ანტონიოლის შემცვლელი იქნება, ხოლო ლუიჯი ტურჩის ალბათ „სამპდორიას“ დატოვება მოუწევს.

**გიორგი ძაძაგაძე**

# ფრანგმა ფრანგი აქო
## ვენგერს პროტო ააცალეს


ტიერი ანრის არსენ ვენგერისა სწამს

„არსენალის“ კაპიტანმა ტიერი ანრიმ ფანები დაამშვიდა, პატრიკ ვიეირას შემცვლელს არსენ ვენგერი აუცილებლად იპოვისო: „ვენგერს თითქმის ყოველ წელს უცნობი ფეხბურთელები მოჰყავს, რომლებიც შემდეგ ვარსკვლავები ხდებიან. ცხადია, პატრიკ ვიეირას წასვლა დიდი დანაკლისია ჩვენთვის და ამას ვერავინ უარყოფს, მაგრამ გასულ სეზონშივე გამოჩნდა, რომ „არსენალს“ კარგი მომავალი ეზრდება. მთავარია, არსენ ვენგერს დაუჯერონ. როგორ შეიძლება, არ გჯეროდეს კაცის, ვინაც გუნდს პრემიერლიგა სამჯერ, ასოციაციის თასი კი ოთხჯერ მოაგებინა? ჩვენმა მწვრთნელმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენა ეხერხება. იმ დროს პატრიკ ვიეირასაც არავინ იცნობდა, როცა „არსენალში“ მოიყვანა“.

არსენ ვენგერს „ლუვიედან“ 22 წლის ბელგიელი მეკარის, სილვიო პროტოს გადაბირებაც სურდა, მაგრამ დააგვიანა და „ანდერლეხტმა“ დაასწრო, რომელმაც პროტოს სანაცვლოდ 500 ათასი გირვანქა გადაიხადა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბალაკთან ლაქლაქის დროა?
## სანიოლმა ბაიერნი ააფორიაქა

**ვილი სანიოლი** მიუნხენის „ბაიერნს“ დაემუქრა, ახალ კონტრაქტზე თუ ვერ მოვრიგდებით, გუნდიდან ისე წავალ, ჩემს სანაცვლოდ ერთ ევროცენტსაც ვერ მიიღებთო.

მოგეხსენებათ, სანიოლის „ბაიერნში“ ყოფნის ვადა წლის ბოლოს იწურება, კლუბს კი მასთან, როკე სანტა კრუზთან და ოუენ ჰარგრივსთან კონტრაქტების გახანგრძლივება სურს, მაგრამ ამჟამად მიხაელ ბალაკთან პრობლემის მოგვარებითაა დაკავებული. ბალაკი გაჯიუტდა, რადგან „ბაიერნის“ მიერ შეთავაზებული ჯამაგირი ეცოტავება და თვალი მადრიდის „რეალისკენ“ უჭირავს. „რეალმა“ ისიც კი განაცხადა, ფეხბურთელთან უკვე შევთანხმდითო, რასაც ბალაკის აგენტმა მიხაელ ბეკერმა სისულელე უწოდა.


ვილი სანიოლმა „ბაიერნს“ ყურადღება მოსთხოვა

„კლუბის ბოსები თუ ფიქრობენ, რომ მიხაელ ბალაკია მთავარი და სხვები მოიცდიან, ძალიან მიჰქარავენ — თქვა სანიოლმა — მასთან ლოლიაობაში დროს კარგავენ, რაც დანარჩენებს არ გვსიამოვნებს. „ბაიერნმა“ სიტყვით უნდა დაამტკიცოს, რომ მე მათთვის საჭირო ვარ, წინააღმდეგ შემთხვევაში, 2006 წლის 1 იანვრიდან სხვა გუნდში მეძებონ. დეკემბრის ბოლოს კონტრაქტი მიმთავრდება და მუქთად დამკარგავენ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რიბოკზე უდაბნოს მელა გამოჩნდა


ხარედ ბორგეტი

**როგორც იქნა**, ხარედ ბორგეტის „ბოლტონში“ გადასვლას საშველი დაადგა. საკმაოდ ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მხარეებმა ყველა ბარიერი გადალახეს და ტრანსფერზე შეთანხმდნენ. 31 წლის მექსიკელი უკვე „რიბოკზეა“ და სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ კლუბთან ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს. „უდაბნოს მელად“ წოდებულ ფეხბურთელში მისი, უკვე შეიძლება ითქვას, ყოფილი კლუბი „პაჩუკა“, დაახლოებით 1 მილიონ გირვანქას მიიღებს.

„ახლა მხოლოდ სამედიცინო შემოწმებას ველოდებით. სავარაუდოდ, როდესაც აზიური ტურნედან ინგლისში დავბრუნდებით, ეს საკითხიც მოგვარდება. ძალიან მიხარია, რომ ტრანსფერი საბოლოოდ შედგა. ეს ბორგეტისთვისაც სასიხარულოა და ჩვენთვისაც. ხარედმა წლეულს 60 მატჩზე მეტი ჩაატარა და ახლა მას დასვენება სჭირდება. იგი ინგლისურ ფეხბურთსსაც არ იცნობს და ადაპტაციას გარკვეულ დროს მოანდომებს, მაგრამ ყველაფერი კარგად იქნება“ — განაცხადა „ბოლტონის“ მთავარმა მწვრთნელმა სემ ალარდაისმა.

რამდენიმე კვირიანი მოლაპარაკების შემდეგ „ბოლტონმა“ სენეგალელი მცველი აბდულა ფეიეც დაიმატა. „რიბოკის“ ბინადრებმა იგი „ლანსიდან“ ერთი წლით ინათხოვრეს გამოსყიდვის პერსპექტივით.

შეგახსენებთ, რომ ალარდაისის განკარგულებაში აქამდე ორი სენეგალელი იყო — ხალილუ ფადიგა და ელ-ჰაჯი დიუფი. ისინი თანამემამულეს სიხარულით შეხვდნენ.

**გიორგი ძაძაბაძე**


რაფაელ ბენიტესი ზედმეტ ფეხბურთელებს თავიდან იცილებს

# ბენიტესმა ლივერპული დაბერტყა
## ანშო უიგანში, ნუნიესი ვიგოში

„**ლივერპულის**“ შვეიცარიელი მცველი სტეფან ანშო პრემიერლიგის დებიუტანტ „უიგანს“ მუქთად ერგო. ანშოს „ლივერპულთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა. ამ ზაფხულს კი „უიგანთან“ ვარჯიშობდა და მწვრთნელ პოლ ჯუელს თავი მოაწონა.

შვეიცარიელი მცველი პრემიერლიგაში 1997 წლიდანაა. იგი „ჰამბურგიდან“ „ბლექბერნმა“ 3 მილიონ გირვანქად შეიძინა, 1999-ში კი საშმილიონნახევრად „ლივერპულმა“ გადაიბირა, სადაც 200-ზე მეტ მატჩში ითამაშა.

პოლ ჯუელმა სტეფან ანშომდე სამი ფეხბურთელი დაიმატა: „როტერჰემიდან“ მაიკ პოლიტი, „ბასტიადან“ პასკალ ჩიმბონდა, „ტრანმერიდან“ კი რაიან ტეილორი.

რაფაელ ბენიტესმა გუნდიდან ანტონიო ნუნიესიც გაუშვა, რომელიც შარშან მადრიდის „რეალიდან“ წაიყვანა. ნუნიესმა ვიგოს „სელტასთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რომამ ფიფას საქმო მიუგზავნა

„**რომას**“ პრობლემების მოგვარებას საშველი არ დაადგა, თუმცა კლუბი, ბუნებრივია, ფარ-ხმალს არ ყრის და ბრძოლას განაგრძობს.

საქმის არსს ორიოდ სიტყვით შეგახსენებთ: რომაელებს ფილიპ მექსეშის სანაცვლოდ „ოსერისთვის“ 5 მილიონი ევრო ჯერ კიდევ ერთი წლის წინ უნდა გადაეხადათ და რაკი არ თუ ვერ გადაიხადეს, ფიფამ სატრანსფერო ბაზარზე ფეხის შედგმა აუკრძალა. შედეგად, სანამ სხვა კლუბები გაცხარებულ ვაჭრობაში არიან, „რომა“ განზე დგას და გემრიელ ლუკმებს ნერწყვის ყლაპვით უყურებს.

ფიფა რომ სასჯელს დაგაკისრებს, საჩივლელად აბა, ვისთან უნდა მიადგე და რომაელებსაც თითქოს გამოსავალი აღარ უჩანთ. ამიტომ კლუბი სხვა გზით წავიდა და შუამავლად საერთო მეგობრების ჩარევა გადაწყვიტა. „რომას“ და ფიფას საერთო მეგობარი კი იტალიის ფეხბურთის ფედერაცია, კერძოდ კი, მისი პრეზიდენტი ფრანკო კარაროა. „რომაში“ იმედი აქვთ, კარაროს ხათრით, ეგებ სასჯელი შეგვიმსუბუქონო.

ამ მიზნით კარაროს რომაელთა დელეგაცია მიადგა როზელა სენსის მეთაურობით. ეს ქალბატონი კი კლუბის პრეზიდენტის, ფრანკო სენსის შვილია.

საუბრის ზუსტ დეტალებს არავინ ამხელს, თუმც კომენტარები ისეთია, საქმე მაინცდამაინც სახეიროდ ვერ უნდა იყოს.


როზელა სენსი

ფრანკო კარარომ თქვა, რაც საჭიროა, ყველაფერს გავაკეთებთ, ოღონდ ჯერ არ ვიცით, საჭირო ნაბიჯებად რას ჩავთვლითო.

როზელა სენსიმ კი თქვა, ფედერაციასთან შეთანხმებით ვიმოქმედებთ, თუმც მთავარი სიტყვა, ცხადია, იურისტებმა უნდა თქვანო.

აქვე ერთი დელიკალური საკითხიც ვახსენოთ: სატრანსფერო ემბარგოს დადებამდე „რომამ“ ოთხი ფეხბურთელის — შაბანი ნონდას, სამუელ კუფურის, როდრიგო ტადეისა და ჩეზარე ბოვოს გადაბირება მოასწრო. ახლა საკითხავი ისაა, ამათ მაინც თუ მისცემენ ახალ კლუბში თამაშის უფლებას.

**კოტე ძიძელია**

# ქალბატონს ექსპერიმენტები შეუყვარდა

**ტურინის „იუვენტუსის“ მთავარი მწვრთნელი ფაბიო კაპელო დაწყებულ ექსპერიმენტს აგრძელებს. იგი ისევ ორ სისტემას, 4-4-2-სა და 4-3-3-ს სცდის, თანაც ამჯერად გუნდში შემტევი ფეხბურთელების რაოდენობა კიდევ უფრო გაზრდილია. ძირითად სქემად ისევ 4-4-2 განიხილება, რომლითაც „ბებერი ქალბატონი“ სავარაუდოდ, ახალ სეზონს დაიწყებს. დღესდღეობით თავდასხმაში ზლატან იბრაჰიმოვიჩი და დავიდ ტრეზეგე თამაშობენ, ხოლო 4-3-3-ს დროს ფორვარდებად ადრიან მუტუ, მარსელო ზალაიეტა და ალესანდრო დელ პიერო გვევლინებიან. ტურინელთა კაპიტანი უჩვეულო პოზიციაზე, მარჯვენა შემტევის რანგში გამოდის**


ფაბიო კაპელო სხვადასხვა ტაქტიკურ ვარიანტს ამუშავებს

**მართალია**, დელ პიეროს ამ პოზიციაზე თამაში თავად მოუთხოვია, მაგრამ იტალიური პრესა უკვე ალაპარაკდა, ფაბიო კაპელო „პინტურიჩოს“ ისევ სათადარიგოთა სკამზე დასვამს და შეცვლებზე თუ გამოიყვანს ხოლმეო. თუმც „იუვენტუსის“ ყველა ფეხბურთელი და თავად მწვრთნელიც აღნიშნავენ, რომ არანაირი უთანხმოება ან პრობლემა არ იქნება.

დელ პიერო: „მოსამზადებელ პერიოდში ექსპერიმენტები აუცილებელია. მწვრთნელი ყველას გვაძლევს შანსს, თავი წარმოვაჩინოთ. დანარჩენი სეზონის დაწყების მერე გამოჩნდება“.

„ალექსმა თავად მთხოვა, მარჯვენა თავდამსხმელად დამეყენებინა. ამ პოზიციიდან მას ჩვეულებრივად შეუძლია ცენტრში გადაწევაც. დელ პიეროც და მუტუც ძალიან კარგად თამაშობენ. ისინი ბევრს მუშაობენ“ — განაცხადა კაპელომ.

„ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის. ზუსტად იმავე პოზიციაზე ვარ, რომელზედაც „პარმაში“ ვთამაშობდი. სახელიც სწორედ ასე გავითქვი“ — ეს კი ადრიან მუტუს სიტყვებია.

4-3-3 სისტემით კმაყოფილია დავიდ ტრეზეგეც. ფრანგი მოსამზადებელ პერიოდში ძალიან აქტიურია და ჯერჯერობით ტურინელთა თავდასხმაში საუკეთესოდ ჩანს.

„სხვადასხვა სქემების მოსინჯვა აუცილებელია. ეს ჩვენი დამატებითი იარაღი იქნება. ყველაფრის მოგება გვინდა, რისთვისაც მრავალფეროვნებაა საჭირო. საკუთარი თამაშით ამ ეტაპზე კმაყოფილი ვარ. სეზონს მშვენიერ ფორმაში ვხვდები და უკვე გოლებიც გავიტანე, რაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია“ — აღნიშნა ტრეზეგემ.

ამის შემდეგ ფორვარდმა „დელე ალპიზე“ თავისი თანამემამულის, პატრიკ ვიეირას გამოჩენაზე ისაუბრა: „ძალიან გაკვირვებული და გახარებული ვიყავი, როდესაც ეს ამბავი გავიგე. არდადეგების დროს პატრიკს ტელეფონით ველაპარაკე და მან მითხრა, „არსენალში“ დარჩენას ვაპირებო. თუმცა ჩვენი ხელმძღვანელობა არ დანებდა და მერე ყველაფერი შეიცვალა. ვიეირას კლასზე და პროფესიონალიზმზე რამის თქმა ზედმეტად მიმაჩნია. იგი საგრძნობლად გაგვძლიერებს. ფაბიო კაპელოს ვეთანხმები — ახლა პატრიკისა და ემერსონის წყალობით მსოფლიოში საუკეთესო ცენტრალური ნახევარდაცვა გვყავს“.

ემერსონი კი სეზონის დაწყებამდე ველარ ითმენს. მას ერთი სული აქვს, ვიეირას გვერდზე როდის იბურთავებს. 4-3-3 სისტემით თამაშში კი ვერც იგი ხედავს რაიმე პრობლემას.

„თუ მწვრთნელი ამ სქემით თამაშს გადაწყვეტს, არანაირი პრობლემა არ იქნება. „რომაში“ ყოფნისას სამი ნახევარმცველით ხშირად გვითამაშია. მართალია, ეს რაღაცეებს ცვლის, მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ და ახალ სეზონს ველოდები. ბევრი დიდი ფეხბურთელის გვერდზე მითამაშია, მაგრამ ერთი სული მაქვს, კრესპოსთან ერთად როდის გავალ მინდორზე. ჩვენ ახლა მართლაც ბევრად უფრო ძლიერები ვართ“ — თქვა ემერსონმა.

სამხრეთამერიკელმა ნახევარმცველმა „ბებერი ქალბატონის“ სამომავლო გეგმებზე და თავდასხმაზეც ისაუბრა. მან განსაკუთრებით ზლატან იბრაჰიმოვიჩი შეაქო.

ემერსონი: ჩვენი შეტევა ძალიან დიდი და მრავალფეროვანია. განსაკუთრებით ტრეზეგესა და იბრაჰიმოვიჩის წყალობით. შეუძლია თუ არა ზლატანს „ოქროს ბურთის“ მოგება? რა თქმა უნდა, მაგრამ ჯერ არა მგონია, იგი ჯერ ახალგაზრდაა. ამ ჯილდოს ამჟამად ალბათ რონალდინიო მოიპოვებს. მომავალი წელი ძალიან დატვირთული იქნება, რადგანაც მუნდიალი ტარდება. წარმატების იმედი ეროვნულ ნაკრებშიც მაქვს. თუმც ახლა მხოლოდ კლუბზე ვარ კონცენტრირებული. პირველ რიგში ჩემპიონთა ლიგის და სკუდეტოს მოგება გვინდა, მაგრამ იტალიის თასი და სუპერთასიც არანაკლებ მნიშვნელოვანია“.

ამასობაში, ტურინელებს „ჯენოას“ ფორვარდი დიეგო მილიტოსთვის დაუდგამთ თვალი. 26 წლის ფეხბურთელმა გასული სეზონი შთამბეჭდავად ჩაატარა და „იუვეს“ ყურადღების ცენტრში მოექცა. თუ მხარეები პირდაპირ ვერ შეთანხმდებიან სატრანსფერო თანხაზე, ეგებ „ბებერმა ქალბატონმა“ წარმოშობით და არგენტინელი თავდამსხმელი ერთი წლით ინათხოვროს.

როგორც ამბობენ, გენუელები 3 მილიონ გირვანქას ითხოვენ. თუ მილიტო „დელე ალპიზე“ ჩავა, სავარაუდოდ, ამას მარსელო ზალაიეტას სხვა გუნდში გადასვლა მოჰყვება.

**გიორგი ძაძამიძე**

# პეტროვის სამწლიანი გეგმა

## ტორესი და კეჟმანი ბომბარდირები გახდებიან

**ბულგარელი** მარტინ პეტროვი ესპანურ კარიერას დიდი იმედებით იწყებს — „ვოლფსბურგის“ ყოფილი მოიერიშე, რომელიც მადრიდის „ატლეტიკოში“ 8,5 მილიონი ევროს სანაცვლოდ მივიდა, მედიას უცხადებს, რომ „ვისენტე კალდერონზე“ ის ჯილდოები უნდა დააგემოვნოს, რომელთაც გერმანიაში ვერ შესწვდა.

„ატლეტიკოში“ მინდა, მაქსიმუმს მივაღწიო, რაც რიგი მიზეზების გამო გერმანიაში ვერ შევძელი. კერძოდ, მსურს, ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშო. დარწმუნებული ვარ, ახალ მწვრთნელ კარლოს ბიანკისთან და ახალ თანაგუნდელებთან ერთად ოცნებას აუცილებლად ავიხდენ“ — უთხრა ბალკანელმა ფორვარდმა მადრიდული სპორტული მედიას.

„ვიცი, რომ „ატლეტიკო“ ერთ-ერთი უძველესი და სახელგანთქმული ესპანური კლუბია — განაგრძობს პეტროვი — რაც შემიძლია, ყველაფერს ახალი გუნდისთვის გავაკეთებ, ბოლომდე ვიბრძოლებ, თუნდაც მსოფლიოს ნაკრებს ვეთამაშებოდეთ. მინდა, რომ ჩემი პასებით ფერნანდო ტორესი და მატეა კეჟმანი პრიმერადივიზიონის მთავარმეგოლეები გავხადო“.

„ვოლფსბურგის“ ყოფილ თავდამსხმელს „მარკამ“ ლეგენდარულ თანამემამულე ხრისტო სტოიჩკოვთან მსგავსებაზეც ჰკითხა, რაზეც გულახდილი პასუხი მიიღო: „მე მარტინ პეტროვი ვარ, მორჩა. ხრისტო სხვა განზომილებას მიეკუთვნება. თუმცა მასთან შედარება, რა თქმა უნდა, მახარებს“.

მარტინ პეტროვი „ატლეტიკოში“ უახლოესი სამი სეზონის განმავლობაში ითამაშებს.

**ლადო ხომერიკი**


მარტინ პეტროვმა იცის, რომ ხრისტო სტოიჩკოვი არ არის


რონალდ კუმანი

# მეგობრობა გზად და ხიდად

## კუმანი ფრანკს მიადგა

**რონალდ კუმანი**, ლისაბონის „ბენფიკას“ ჰოლანდიელი მწვრთნელი „ბარსელონას“ მოიერიშეებით, შევდი ჰენრიკ ლარსონითა და არგენტინელი მაქსი ლოპესით დაინტერესდა. როგორც პორტუგალიური „რეკორდი“ გვამცნობს, კუმანს სურს, ზემოხსენებული ფეხბურთელებიდან ერთ-ერთი მაინც იჯარით მიიყვანოს თავის გუნდში.

„რონალდ კუმანი მაქსი ლოპესისა და ჰენრიკ ლარსონის თაობაზე „ბარსას“ მწვრთნელ ფრანკ რაიკარდს მართლაც ელაპარაკა. მას განსაკუთრებით არგენტინელი მაქსი აინტერესებს“ — გვამცნობს გუშინდელი „რეკორდი“.

და ერთიც: თავის დროზე პორტუგალიელები სხვა ბარსელონელის, ხავიერ სავიოლას შეძენასაც აპირებდნენ, თუმცა „ბაჭიას“ მაღალმა სატრანსფერო ფასმა განზრახვაზე ხელი აღებინათ. მართალია, თანამემამულეები და ყოფილი თანაგუნდელები, კუმანი და რაიკარდი, მეგობრობას ახლაც განაგრძობენ, მაგრამ საეჭვოა, ლარსონი ან მაქსი ესპანური პრიმერადან პორტუგალიურ სუპერლიგაში გადავიდნენ. ფეხბურთელებთან დაახლოებულ პირთა თქმით, მათ ნაკლებად ძლიერ ლიგაში გადაბარგების პერსპექტივა არ ხიბლავთ.

**ლადო ხომერიკი**

# რაიკარდი კიდევ ოთხი წლით



ფრანკ რაიკაარდს კონტრაქტის ვადა გაუხანგრძლივეს

**კატალონიური** „ბარსელონას“ უფროსობა გუნდის მწვრთნელ ფრანკ რაიკარდს კონტრაქტს 2009 წლის ივნისამდე უხანგრძლივებს. მას შემდეგ, რაც კლუბის პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ წამყვან მოთამაშეებს (ხავი, ეტოო, დეკო) უკვე გაუგრძელა ხელშეკრულებები, ახლა ჰოლანდიელისთვისაც მოიცალა.

„ფრანკ რაიკარდთან სიტყვიერ შეთანხმებას უკვე მივაღწიეთ, კონტრაქტის განახლებას წინ არც ეკონომიკური და არც რაიმე სხვა სახის პრობლემები არ ეღობება. ახლა მცირე დეტალებიღა დაგვრჩა მოსაგვარებელი და უახლოეს დღეებში ყოველივეს ოფიციალურად დავამოწმებთ“ — განუცხადა „ბარსას“ პრეზიდენტმა ესპანურ „მარკას“.

მისივე თქმით, კლუბსა და რაიკარდს საჩქარო არაფერი აქვთ, თუმც სასურველია, კონტრაქტი უახლოეს ორ-სამ დღეში მოკვარახჭინდეს.

„რაიკარდი ის კაცია, რომელსაც „ბარსელონაში“ უყოყმანოდ ენდობიან. ის კლუბს სჭირდება და ამიტომაც კარგი იქნება, თუ მასთან ახალ ხელშეკრულებას, რაც შეიძლება, მალე გავაფორმებთ“ — დასძინა ბოლოს ლაპორტამ.

**ლადო ხომერიკი**

# რომარიომ ზიკო დაამხო

**დიახ**, ლეგენდამ ლეგენდას გადაასწრო — „ვასკუ და გამას“ ვეტერანმა ფორვარდმა რომარიომ კვირას, „კორინთიანსს“ ლამაზი გოლი გაუტანა და ამით მითიური ზიკოს რეკორდი დაამხო.

საქმე ის გახლავთ, რომ რომარიომ ბრაზილიის ჩემპიონატის 222 ჩატარებულ მატჩში რიგით 135-ე ბურთი გაიტანა, ზიკოს კი იგივე შედეგი 248 თამაშში დაუფიქსირებია, რაც მეგოლეთა შორის რომარიოს გამარჯვებას ნიშნავს.

„ეს ჩემს კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლია. მატჩის შემდეგ ბიჭებთან ერთად ზიკოს რეკორდის დამხობა შესაფერისად აღვნიშნე“ — განუცხადა ბრაზილიურ მედიას 38 წლის რომარიომ, რომელმაც „ვასკუ“ წაგებისგან მაინც ვერ იხსნა — „კორინთიანსმა“ მის გუნდს 3:2 მოუგო.

**ლადო ხომერიკი**



– და რომარიომ ბიჭებთან ერთად მოულხინა

# ბოდიში, სენიორ პრეზიდენტო!

**„ვაღიარებ**, რომ მაურისიო მაკრის მისამართით შეუფერებელი სიტყვები ვთქვი, თუმც იმედი მაქვს, პრეზიდენტი ამას გულთან არ მიიტანს. მაშინ ძალიან გაბრაზებული ვიყავი და თავს ვერ მოვერიე“ — განუცხადა არგენტინულ „რადიო ლა რედს“ „ბოკა ხუნიორსის“ თავდამსხმელმა მარსელ დელგადომ.

საქმე კი აი, რაშია: რამდენიმე დღის წინ, 32 წლის ვეტერანმა დელგადომ ერთ-ერთი იაპონური კლუბიდან სარფიანი შემოთავაზება მიიღო, აზიელები სამხრეთამერიკელს წლიურად მილიონნახევარიან ხელფასს ჰპირდებოდნენ. გახარებულმა მარსელომაც უმალ „ბოკადან“ წასვლა გადაწყვიტა და არგენტინულ გიგანტთან კონტრაქტის გასაწყვეტად პრეზიდენტ მაკრის ეახლა. თავკაცსა და ფეხბურთელს შორის ფრიად უსიამოვნო ლაპარაკი გაიმართა. მაკრიმ დელგადო კლუბისადმი უპატივცემულობაში დაადანაშაულა და კონტრაქტის დასრულებამდე, ანუ 2007 წლამდე მოსთხოვა „ბომბონერაზე“ დარჩენა. პასუხად კი დელგადომ პრეზიდენტს ჯერ პირისპირ უთხრა მაგარ-მაგრები, ხოლო მერე მედიაში განაცხადა, რომ მაურისიო მაკრი დესპოტია და საკუთარ ფეხბურთელებს მონებივით უყურებს.

ეს ყველაფერი სეულში, „ბოკას“ აზიური ტურნეს დროს მომხდარა და მაურისიო მაკრიმაც მარსელო დელგადოს უმალ უბრძანა, გუნდი დაეტოვებინა და ბუენოს აირესში დაბრუნებულიყო.

„ძალიან ვნანობ, ასე რომ ავლელდი. იაპონელებმა ერთობ ხელსაყრელი წინადადებით მომმართეს, რომელსაც ჩემი ოჯახის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება შეეძლო. ამიტომაც გავბრაზდი, როცა მაკრიმ „ბოკასთან“ კონტრაქტის გაწყვეტაზე უარი მითხრა“ — ამბობს ფეხბურთელი.

პრეზიდენტთან მისი ურთიერთობა საბოლოოდ ჯერ არ გარკვეულა, თუმც ვეტერანი სამხრეთელი ბოლოს დასძენს: „ჟურნალისტებმა მკითხეს, პრეზიდენტთან ჩხუბი „ბოკადან“ შენს წასვლას ხომ არ ნიშნავსო. ეგებ უახლოეს ხანში მართლა წავიდე, თუმც არ მინდა, ასე დავშორდე ქომაგებს. „ბოკა ხუნიორსიდან“ ისე წავალ, როგორც მარსელო დელგადოს ეკადრება“.

**ლადო ხომერიკი**



მარსელ დელგადო ბოდიშს იხდის

# არგენტინაში ახალი მარადონაა — ლეო მესი

**არგენტინის** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ხულიო გრონდონამ „ბარსელონას“ ნორჩი ვარსკვლავი ლეო მესი თვით დიეგო არმანდო მარადონას შეადარა.

„იმის თქმა, რომ იგი უკვე მარადონას დონის ფეხბურთელია ან ასეთი დადგება, გადაჭარბებული იქნება. ლეო ჯერ ამისთვის ძალიან პატარაა, თუმცა დიეგოსთან ბევრ მსგავსებებს ვამჩნევ. ზუსტად ისე საოცრად ბურთაობს, როგორც ყმაწვილი მარადონა წლების წინ. თუ მან ასეთი სტილით თამაში გააგრძელა, 2006 წლის მუნდიალზეც მოხვდება და მსოფლიოსაც შეაზანზარებს“ — განაცხადა გრონდონამ.



ლეო მესი

ლეო მესი არგენტინისა და „ბარსელონას“ ამომავალი ვარსკვლავი მართლაცაა, რომელმაც ასაკის მიუხედავად, უკვე მოასწრო თავის გამოჩენა. ცოტა ხნის წინ მისი ჩინებული თამაშის წყალობით არგენტინელებმა ჰოლანდიაში გამართული 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგეს, ხოლო მესი ტურნირის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

საინტერესოა, რომ გრონდონას სიტყვების დასამოწმებლად ერთი ფაქტის მოყვანა შეგვიძლია, რომელიც მესის კიდევ უფრო ამსგავსებს მარადონას. საქმე ის არის, რომ 1979 წელს მარადონამ ტოკიოს ახალგაზრდული მუნდიალი მოინადირა, შემდეგ კი „ბარსელონას“ მიაშურა და სახელიც გაითქვა...

„ის რომ არგენტინაში თამაშობდეს და ხშირად ვაკვირდებოდე, ჩემს პროგნოზებში უფრო დარწმუნებული ვიქნებოდი, თუმცა თავს მაინც მივცემ უფლებას და გავბედავ, ლეო მესის მომავალი ფეხბურთის მეფობა ვუწინასწარმეტყველო“ — დასძინა მრავლისმნახველმა გრონდონამ, რომელიც აგერ უკვე 26 წელიწადია, რაც არგენტინულ ფეხბურთს უდგას სათავეში.

**ლადო ხომერიკი**

## ამხანაგური მატჩები

**ორჰუსი (დანია) 0:4 ბარსელონა (ესპანეთი)**

0:1 დეკო (38), 0:2 ლარსონი (53), 0:3 გაბრი (63), 0:4 მაქსი ლოპესი (82)

**ბარსელონა:** ვ. ვალდესი (ხორკერა 46), დამია (ბელეტი 46), პუიოლი (როდრი 46), ოლეგერი, სილვინიო (ვან ბრონკჰორსტი 46), ვან ბომელი (ხავი 46), ედმილსონი (მაქსი ლოპესი 63), დეკო (გაბრი 46), ინიესტა, ეტოო (ჟიული 46), ლარსონი (პიტუ 70)

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

მსაჯი: მიქაელ სვენდსენი (დანია)

20 000 მაყურებელი

**ლესტერი (ინგლისი) 1:2 ინტერი (იტალია)**

0:1 სოლარი (26), 0:2 ხუტოსი (31), 1:2 ოგრედი (87)

**ლესტერი:** ჰენდერსონი, კანერო (პორტერი 77), გერბრანდი, იოჰანსონი, შენანი (მაიბერი 86), სილა (სტირმანი 65), ტიატო, უილიამსი, უილკოქსი, დაბლინი (ოგრედი 68), დე ვრიზი

მწვრთნელი: მაიკ ლევინი

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, ზე მარია, მიხაილოვიჩი (ჯანი 81), მატერაცი (ბონუჩი 86), ვომე (სემენცატო 81), კარაგუნისი, დ. პიზარო (ბელაიდი 81), დ. სტანკოვიჩი (მაა ბუმსონგი 72), სოლარი (არიეტა 77), ხუტოსი (ფაუტარიო 90), მომენტე (ფავალი 60)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

მსაჯი: იან დოუდი (ინგლისი)

15 000 მაყურებელი

**უდინეზე (იტალია) 1:2 სპარტა (ჩეხეთი)**



კარლეს პუიოლმა და კამპანიამ „ორჰუსს“ იოლად აჯობა

# მე ვზივარ ნავში და მივდივარ სახლში

## მარჩელო ლიპი: მწვრთნელი ყრუ უნდა იყოს

*იტალიის ნაკრების მწვრთნელთან, მარჩელო ლიპისთან ეს ინტერვიუ ვფიქრობთ, ქართველი მკითხველისთვისაც ისევე საინტერესოა, როგორც მსოფლიოს ნებისმიერი კუთხის მკვიდრი ქომაგისთვის. აქ საუბარია „იუვეზე", ფაბიო კაპელოზე, იახტებზე, ზანგებზე... თუმცა, თავად ნახავთ, ჩვენ კი მხოლოდ გითარგმნით*



**— სინიორ ლიპი, ხშირად მიგიღიათ მიწვევები უცხოეთიდან?**

— ადრე, ინგლისელები და ესპანელები მთავაზობდნენ ძალიან საინტერესო საქმეებს, მაგრამ, მაშინ „იუვენტუსს" ვწვრთნიდი და სხვა არაფერი მიზიდავდა. იმ პერიოდში სამსახურიდან წასვლა გუნებაში არც გამივლია, მაგრამ ბოლოს, როდესაც შევატყვე, რომ ტურინიდან ჩემი აბარგების დრო ახლოვდებოდა, ახალ ცხოვრებაზე ფიქრი უკვე სერიოზულად დავიწყე. ვიგრძენი, რომ გადართვა მჭირდებოდა. იცით, მე ვიარეჯოში, ზღვის პირას ვარ დაბადებული და ზღვა ძალიან მიყვარს. ვგრძნობდი, რომ იახტით გასეირნება მომენატრა. მოკლედ, შემეძლო „იუვენტუსში" კიდევ ერთი წლით დავრჩენილიყავი, მაგრამ აღარ მინდოდა, რადგან საქმის მიმთავრებას არ ვიკადრებდი, სერიოზული, ფართომასშტაბიანი მუშაობის თავი კი აღარ მქონდა. მერედა, იმასაც ვხვდებოდი, რომ მკვეთრი და ჩემთვის მეტისმეტად უსიამოვნო გადაწყვეტილებების მიღება დამჭირდებოდა...

**— კერძოდ?**

— მივხვდი, რომ ფეხბურთელები, რომლებთანაც წლობით ვიმუშავე, ამოწურულნი იყვნენ. ახალი „იუვეს" შენება იყო საჭირო, მაგრამ იმ ხალხის გუნდიდან გაშვება, რომელთაც უდიდესი სიხარული მომანიჭეს და რომელთანაც მეტისმეტად დავვახლოვდი, ძალიან მემძიმებოდა. ამიტომაც წავედი, შემდეგ კი ნაკრების მწვრთნელობას დავყაბულდი. ნაკრების მწვრთნელობა კი ისეთი საქმეა... სახლშიც ვარ, იახტითაც ვსეირნობ და საყვარელ პროფესიასაც არ დავცილებივარ.

**— დღეს, როდესაც „იუვენტუსის" თამაშს უყურებთ არ განიცდით? ნუთუ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, „იუვე" „ლივერპულთან" რომ მარცხდებოდა, არ ყვიროდით: რას შვრება ეს კაპელო?!**

— არა, რას ამბობთ... ასეთი რამ, მთელ სახლზე რომ მეყვირა, არ მომხდარა. ისე, მინდა გითხრათ, რომ „იუვენტუსის" თამაშებზე არ დავდივარ, მათ ტელევიზიით ვადევნებ თვალს. ერთხელ ვიყავი, წინა ზაფხულს, ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ შეხვედრას დავესწარი შვედურ „იურგორდენთან" და სად ჩავმძვრალიყავი, არ ვიცოდი. „იუვემ" პირველ ტაიმში ორი გოლი რომ გაუშვა, ხალხმა ლიპი-ლიპის ყვირილი დაიწყო. გულწრფელად გეუბნებით, გაპარვა მინდოდა. მაშინ მივხვდი, რომ ტურინელთა მატჩებს არ უნდა დავესწრო, რადგან ამან შეიძლება ხალხი გაანერვიულოს ან ფეხბურთელებსა და მწვრთნელს შეუშალოს მუშაობაში ხელი.

**— თუ არ გეიწყენთ, იქნებ გვითხრათ, რა ურთიერთობა გაქვთ ფაბიო კაპელოსთან?**

— მე და კაპელოს ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. კაცმა რომ თქვას, მტრობის საფუძველი არც გვქონია და რატომ უნდა ვმტრობდეთ ერთმანეთს? უბრალოდ, „იუვეს" თამაშებზე კიდევ იმიტომ არ დავდივარ, რომ ამ გუნდის სათავეში სხვას რომ ვხედავ, განვიცდი. კაპელოზე არ არის ლაპარაკი, ვინც არ უნდა ყოფილიყო, იგივე მომივიდოდა. წარმოიდგინეთ, ამ გუნდში ათი წელიწადი გავატარე! მოკლედ, ჩემი გუნდის თამაშს ტელეეკრანიდან რომ ვუყურებ კიდევ არა უშავს, „დელე ალპის" ტრიბუნიდან კი ძნელია.

**— ხომ არ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ კლუბისა და ნაკრების წვრთნა ორი სხვადასხვა პროფესიაა?**

— არა, პროფესია ერთია, უბრალოდ, დატვირთვაა სხვადასხვა. კლუბის მწვრთნელი ფეხბურთელებთან წელიწადში 300 დღეს ატარებს, ნაკრების მწვრთნელს კი 30 დღეზე მეტი არ უწევს.

**— სწორედ ამას მოგახსენებდით. განა დღეების რაოდენობას შორის არსებული ერთი ნული არ იძლევა იმის საბაბს, რომ ამ ორ საქმეს სხვადასხვა პროფესიები ვუწოდოთ?**

— კლუბის მწვრთნელი მშენებელია, რომელიც ყოველწუთას რაღაცას ცვლის, ამატებს, აკლებს, გაუთავებელ პროცესშია ჩართული, ხოლო ნაკრების თავკაცი მთაზე შემომჯდარ ბრძენს ჰგავს, რომელიც უდრტვინველად აკვირდება თუ რა ხდება დაბლა, კლუბების დონეზე და შემდეგ, საჭირო მომენტში უძლიერესებთან მიწვევებს აგზავნის...

**— საინტერესოა, როგორ ფიქრობთ, დანახვა შეიძლება იმ მაღალი მთიდან? ანდა, უკეთესს გეტყვით სულაც არ არის არაფრის ნახვა საჭირო. საკმარისია, ყოველდღე, ვინმემ ახალი გაზეთები მოიტანოს და შენ ჩახედო, რა ნიშნები დაუწერეს ჟურნალისტებმა მოთამაშეებს. ხომ გაგიგიათ პოპულარული ფრაზა: ნაკრებში საუკეთესოები უნდა თამაშობდნენო. სისულელეა. ვინ განსაზღვრავს საუკეთესოებს? კრიტერიუმებს ვინ დაასახელებს? ახლა, მე და თქვენ მსოფლიოს ნაკრები რომ დავასახელოთ, სულ მცირე, ორ-სამ პოზიციაზე ვერ შევთანხმდებით. მაშინ, მოდი მწვრთნელის თანამდებობა საერთოდ გავაუქმოთ და ნაკრების შემადგენლობა საერთო-სახალხო რეფერენდუმით გავარკვიოთ. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ნაკრების მწვრთნელი გაზეთებზე მეტს უნდა ხედავდეს. დღევანდელ გაზეთებში ბოლო ტურის საუკეთესო ფეხბურთელებს აქებენ, ნაკრების მწვრთნელს კი არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღებაც უნდა შეეძლოს და მაყურებლისკენ ზურგით შეტრიალებაც უნდა იცოდეს. ცხადია, აქ ჯიბრიან ქცევას არ ვგულისხმობ, უბრალოდ, ნაკრების თავკაცი ფეხბურთელთა კარგი ხედვით და საჭიროების შემთხვევაში, წაყრუებით უნდა გამოირჩეოდეს.**

**— კი მაგრამ, ხომ შეიძლება გაზეთებში სასარგებლო ინფორმაციაც ეწეროს? სხვა თუ არფერი, ტურის ყველა თამაშს ხომ ვერ ნახავთ?**

— რატომაც ვერ ვნახავ? მე ყოველი ტურის უკლებლივ ყველა თამაშს ვუყურებ. ზოგი მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს ვუცქერ, დანარჩენებს კი რომში კასეტებზე მიწერენ... მოკლედ, ორშაბათობით ყველა მატჩი, პლუს სხვადასხვა საინტერესო და ჩემთვის საჭირო ამბავთა სპეცმონტაჟები ჩემთანაა.

**— რომ დავიანგარიშოთ, კვირაში სულ მცირე, 20 საათი ფეხბურთი გამოდის და ამას ალბათ, საერთაშორისო შეხვედრები უნდა დავამატოთ...**

— რა თქმა უნდა.

**— თვალები არ გიფუჭდებათ?**

— არა. მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთის გარდა არაფერს არ ვუყურებ, ტელევიზორთან მაინც ნებისმიერ [illegible] მეტ დროს ვატარებ.



**— კეთილი. მაშინ ისევ პროფესიულ საკითხებს დავუბრუნდეთ. თუ შეიძლება, ამხანაგური თამაშების რაობა და მნიშვნელობა აგვიხსენით?**

— ერთხელ, როდესაც ჯერ კიდევ „იუვეში" ვმუშაობდი, მე, კაპელო და კარლო ანჩელოტი შევხვდით ერთმანეთს და სწორედ ამ საკითხზე ვილაპარაკეთ. ჩვენ საერთო აზრი აღმოგვაჩნდა: მაღალი დონის ფეხბურთელებისთვის მეორეხარისხოვან გუნდებთან თამაშს არანაირი აზრი არ აქვს. შესაძლოა, ამ მსჯელობაში კლუბის მწვრთნელისთვის დამახასიათებელი ეგოიზმიც იპოვნოთ, მაგრამ, დღესაც, როდესაც უკვე ნაკრებში ვმუშაობ, იმავე აზრზე ვარ. ახლა ბევრი მაკრიტიკებს, რომ ზოგიერთ ამხანაგურ თამაშში ათი ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოვცადე. მაგრამ იმ დღეებში ჩემი ამოსავალი წერტილი ის გახლდათ, რომ ვარსკვლავს, ვთქვათ ისლანდიის წინააღმდეგ, ამხანაგური მატჩს მონდომებით ვერ ჩაატარებინებ, ხოლო ახალგაზრდა ყველა ღონეს იხმარს, რათა თავი გამოიჩინოს და ისე ითამაშებს, ოფიციალურ მატჩში რომ ითამაშებდა.

**— გავრცელებული აზრია, თითქოს ნაკრების მწვრთნელებს დიდი შეჯიბრებების წინ ფეხბურთელებთან მუშაობის დრო და საშუალება არ ეძლევათ, ხოლო ნაკრების თამაში იმაზეა დამოკიდებული თუ როგორ გაატარეს ფეხბურთელებმა სეზონი კლუბებში. თქვენ როგორ მიგაჩნიათ, აქვთ, ნაკრების ხელმძღვანელებს საშუალება, დიდი ტურნირების წინ თავიანთი მოთამაშეები როგორც თვითონ უნდათ, ისე მოამზადონ?**

— აქ, უპირველეს ყოვლისა ალბათ, ფსიქოლოგიურ მომზადებაზე უნდა ვილაპარაკოთ. ჩემი აზრით, იმავ ევრო 2004-ზე საფრანგეთი იმიტომ კი არ დამარცხდა, რომ მისმა ფეხბურთელებმა ხანგრძლივი სეზონი ჩაატარეს, არამედ იმიტომ, რომ მისმა ლიდერებმა იმ სეზონში თავ-თავიანთ კლუბებში ყველა გადამწყვეტი შეხვედრა წააგეს. ფიზიკური ძალთა აღდგენის საუკეთესო პროცედურა გამარჯვებაა.

**— და ბოლოს, თანამედროვე ევროპულ ფეხბურთში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, ხომ არ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ არცთუ შორეულ მომავალში, აქაურობა NBA-ს დაემსგავსება, ანუ მოთამაშეები ძირითადად აფრიკული წარმოშობისანი იქნებიან?**

— არა მგონია. მართალია საფრანგეთში, როგორც კლუბებში, ასევე ნაკრებში უპირატესად ფერადკანიანი ბიჭები თამაშობენ, მაგრამ ეს საფრანგეთში რასობრივ სურათს ხატავს და მეტი არაფერი.

**— მაშ თქვენ არ გჯერათ, რომ აფრიკელებს ბუნებრივი უპირატესობა აქვთ?**

— მძლეოსნობაში კი ბატონო. მაგრამ ფეხბურთი ხომ 100 მეტრზე გარბენი არ არის. ფეხბურთი უფრო მრავალმხრივი მოვლენაა. მას შესაფერისი თვისებების მქონე პიროვნებები სჭირდება და არა რასობრივი კუთვნილება.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ


| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შოტლანდია** | | | | | | |
| | | **პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 15:30 | 294 | მაზერველი-სელტიკი | 8.50 | 4.30 | 1.25 | 2.85 | 1.08 | 1.00 |
| 18:00 | 295 | დანდი-აბერდინი | 2.50 | 3.00 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |
| 18:00 | 296 | ფოლკირკი-ინვერნესი | 2.20 | 3.10 | 2.85 | 1.28 | 1.24 | 1.48 |
| 18:00 | 297 | ჰიბერნიანი-დანფერმლაინი | 1.60 | 3.50 | 4.60 | 1.09 | 1.18 | 1.98 |
| 18:00 | 298 | კილმარნოკი-ჰარტსი | 2.50 | 3.00 | 2.50 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 17:00 | 299 | რეინჯერსი-ლივინგსტონი | 1.15 | 6.00 | 10.00 | 1.00 | 1.03 | 3.75 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 21:30 | 30 | ბადენი-ვინტერთური | 2.00 | 3.20 | 3.30 | | 1.24 | 1.62 |
| 21:30 | 31 | ვოლენი-ვილი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 21:30 | 32 | ვადუცი-სიონი | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 21:30 | 33 | ლოკარნო-მეირინი | 2.15 | 3.00 | 3.00 | 1.25 | 1.25 | 1.50 |
| 21:30 | 34 | ლოზანა-ლუცერნი | 1.65 | 3.20 | 4.80 | 1.08 | 1.22 | 1.91 |
| 21:30 | 35 | კრიენსი-კონკორდია | 2.35 | 3.00 | 2.80 | 1.31 | 1.27 | 1.44 |
| 21:30 | 36 | კიასო-ლუგანო | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 21.30 | 37 | იუვენტუსი-შო დე ფონი | 2.20 | 3.20 | 2.75 | 1.30 | 1.22 | 1.47 |
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 16:30 | 38 | ბოლმი-ბელინცონა | 2.10 | 3.20 | 2.95 | 1.26 | 1.22 | 1.53 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 22:45 | 40 | პსჟ-მეცი | 1.60 | 3.20 | 5.30 | 1.06 | 1.22 | 1.99 |
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 19:15 | 39 | მარსელი-ბორდო | 1.75 | 3.00 | 4.50 | 1.10 | 1.25 | 1.79 |
| 22:00 | 41 | ნიცა-ტრუა | 1.80 | 2.90 | 4.50 | 1.11 | 1.28 | 1.76 |
| 22:00 | 42 | სოშო-ტულუზი | 2.00 | 2.90 | 3.50 | 1.18 | 1.27 | 1.58 |
| 22:00 | 43 | სტ-ეტიენი-აიაჩო | 1.70 | 3.10 | 4.60 | 1.09 | 1.24 | 1.85 |
| 22:00 | 44 | სტრასბურგი-ოსერი | 2.10 | 2.90 | 3.20 | 1.21 | 1.26 | 1.52 |
| 22:00 | 45 | ნანტი-მონაკო | 3.30 | 2.80 | 2.10 | 1.51 | 1.28 | 1.20 |
| 22:00 | 46 | ნანსი-ლანსი | 2.30 | 2.80 | 3.00 | 1.26 | 1.30 | 1.44 |
| 22:00 | 47 | ლილი-რენი | 1.90 | 2.90 | 3.80 | 1.14 | 1.26 | 1.64 |
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 48 | ლე მანი-ლიონი | 3.80 | 2.90 | 1.90 | 1.64 | 1.26 | 1.14 |
| | | **პოლონეთი** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 22:00 | 80 | გროცლინი-ამიკა | 1.65 | 3.20 | 4.70 | 1.08 | 1.22 | 1.90 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 139 | ორგრიუტე-ლანდსკრონა | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 22:00 | 140 | ჰალმსტადი-გიოტებორგი | 2.30 | 3.30 | 2.70 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| | | **შვედეთი** | | | | | | |
| | | **სუპერეტა** | | | | | | |
| | | **31 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 147 | ლიუნგსკილე-გაის | 2.80 | 3.30 | 2.20 | 1.51 | 1.23 | 1.32 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 148 | ბოდენსი-იორებრო | 4.20 | 3.40 | 1.75 | 1.87 | 1.23 | 1.15 |
| 21:00 | 149 | ბრომაპოიკარნა-ვესტეროსი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 21:00 | 150 | მიალბი-ატვიდაბერგი | 2.75 | 3.30 | 2.20 | 1.50 | 1.22 | 1.32 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 151 | კტპ-ინტერი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 152 | ლაჰტი-ტამპერე | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 17:00 | 153 | ჰიკ-როვანიემი | 1.35 | 4.30 | 6.50 | 1.02 | 1.11 | 2.58 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 168 | ნიუ ინგლენდი-ლოს ანჯელესი | 1.85 | 3.30 | 3.50 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 23:45 | 169 | ნიუ იორკი-დალასი | 2.70 | 3.20 | 2.25 | 1.46 | 1.22 | 1.32 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 179 | ფორტალესა-ჟუვენტუდი | 1.95 | 3.10 | 3.30 | 1.19 | 1.22 | 1.59 |
| 23:45 | 180 | ფლუმინენსე-გოიასი | 1.80 | 3.20 | 3.70 | 1.15 | 1.21 | 1.71 |
| 23:45 | 181 | სან კაეტანო-ბოტაფოგო | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 23:45 | 182 | კორინთიანსი-კრუზეირო | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 23:45 | 183 | ატლეტიკო პრ-ვასკუ და გამა | 1.55 | 3.30 | 4.70 | 1.05 | 1.16 | 1.93 |
| 23:45 | 184 | სანტოსი-პონტე პრეტა | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 23:45 | 185 | ატლეტიკო მნ-სან პაულუ | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 186 | ფლამენგო-პალმეირასი | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 23:45 | 187 | ბრაზილიენსე-პაისანდუ | 1.70 | 3.20 | 4.30 | 1.11 | 1.21 | 1.83 |
| 23:45 | 188 | ფიგეირენსე-კურიტიბა | 2.20 | 3.00 | 3.00 | 1.26 | 1.26 | 1.50 |
| 23:45 | 189 | ინტერნასიონალი-პარანა | 1.60 | 3.30 | 4.90 | 1.07 | 1.20 | 1.97 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 22:00 | 212 | მალმიო-მაკაბი | 1.70 | 3.20 | 4.00 | 1.11 | 1.19 | 1.77 |
| 22:45 | 213 | დებრეცენი-ჰაიდუკი | 2.30 | 3.10 | 2.65 | 1.32 | 1.23 | 1.42 |
| 21:00 | 313 | ლუდოგორეცი-რაპიდი | 7.50 | 4.70 | 1.30 | 2.88 | 1.10 | 1.01 |
| 21:30 | 314 | პარტიზანი-ტირასპოლი | 1.25 | 4.50 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 2.94 |
| 22:00 | 315 | პეტრჟალკა-სელტიკი | 4.40 | 3.30 | 1.65 | 1.88 | 1.20 | 1.10 |
| 22:00 | 316 | რაბოტნიჩკი-ლოკომოტივი(მ) | 4.50 | 3.30 | 1.65 | 1.90 | 1.20 | 1.10 |
| 22:30 | 317 | შელბურნი-სტიაუა | 2.85 | 3.10 | 2.20 | 1.48 | 1.24 | 1.28 |
| 22:30 | 318 | ტირანა-ცსკა(ბულ) | 2.70 | 3.10 | 2.25 | 1.44 | 1.22 | 1.30 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 21:30 | 245 | მიუნხენი 1860-ვესტ ჰემი | 2.20 | 3.30 | 2.65 | 1.32 | 1.20 | 1.46 |
| 22:45 | 247 | ბორნმუთი-პორტსმუთი | 4.30 | 3.30 | 1.70 | 1.86 | 1.21 | 1.12 |
| 19:00 | 248 | სამპდორია-პანათინაიკოსი | 1.85 | 3.10 | 3.60 | 1.15 | 1.22 | 1.66 |
| 22:45 | 249 | ჰალი-სანდერლენდი | 2.70 | 3.20 | 2.25 | 1.46 | 1.22 | 1.32 |
| | | **ტურნირი ამსტერდამში** | | | | | | |
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 275 | ბოკა ხუნიორსი -პორტუ | 2.50 | 3.00 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:15 | 276 | აიაქსი-არსენალი | 2.70 | 3.00 | 2.35 | 1.42 | 1.25 | 1.31 |
| | | **გერმანია. თასი** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 22:30 | 301 | შალკე-ვერდერი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| | | **საფრანგეთი. სუპერ თასი** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 19:45 | 293 | ოსერი-ლიონი | 2.80 | 2.90 | 2.40 | 1.42 | 1.29 | 1.31 |
| | | **ინტერტოტოს თასი** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 303 | ვოლფსბურგი-ლანსი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 304 | სიენა-ჰამბურგი | 2.90 | 3.10 | 2.15 | 1.49 | [illegible] | 1.26 |
| 23:00 | 305 | დეპორტივო-ნიუკასლი | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | [illegible] | 1.64 |
| 23:00 | 306 | ლაციო-მარსელი | 2.00 | 3.10 | 3.20 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 23:45 | 307 | ვალენსია-როდა | 1.20 | 4.90 | 9.50 | 1.00 | 1.06 | 3.23 |
| | | **ჩოგბურთი. კაცები. კიტცბიუელი** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 13:00 | 439 | ციასუსო-მაიერი | 1.60 | 2.05 | | | | |
| 13:00 | 440 | განესკუ-ბერენდი | 1.55 | 2.10 | | | | |
| 13:00 | 441 | გონსალესი-მარაჩი | 1.08 | 5.50 | | | | |
| 13:00 | 442 | ლოპესი-დი მაურო | 1.30 | 3.00 | | | | |
| 13:00 | 443 | მატი-ვიკი | 1.35 | 2.60 | | | | |

CROCO BOOKMAKERS
კროკო

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# ფორმულა 1 (უნგრეთი). 30 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | კულტჰარდი | 90.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | რაიკონენი | 2.60 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ჰაიდფელდი | 65.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ალბერსი | 300.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | მონტეირო | 250.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | კარტიკეიანი | 250.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | მასა | 100.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | სატო | 65.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | რ.შუმახერი | 40.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ბარიკელო | 35.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ტრული | 20.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ბატონი | 15.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ფიზიკელა | 12.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | მ.შუმახერი | 7.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | მონტოია | 3.50 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ალონსო | 3.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | უებერი | 80.00 |
| 12:00 | 1001 | გამარჯვებული | ვილნევი | 150.00 |

# ისევ ბულგარეთი

## კადეტები ბოლოს ეროვნულმა გამოცადა

**გუშინ საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან გამართული სპარინგმატჩით კადეტებმა დაასრულეს ევროსაკვალიფიკაციო ტურნირისთვის მზადება და ხვალ გამთენიისას ბულგარეთში მიემგზავრებიან. შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდული ნაკრების მსგავსად ჩვენი კადეტებიც B დივიზიონში არიან და A-ში რომ აინაცვლონ, ბულგარეთში მინიმუმ მეორე ადგილზე უნდა გავიდნენ. 16 გუნდი 4 ჯგუფად გაიყოფა და საწყისი ეტაპის შედეგად გამოვლენილი 8 საუკეთესო ორ ახალ ჯგუფს შექმნის. აი, აქ ნაყოჩაღევი ოთხი გუნდი კი ნახევარფინალში გავა, რისი მომგებიც A დივიზიონის საგზურს დაიმსახურებს. ქართველების მეტოქეები საწყის ეტაპზე იქნებიან ბულგარეთის, შვედეთისა და უნგრეთის გუნდები.**



ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი

**როგორც** ხედავთ, მოწინაალმდეგეები ხელწამოსაკრავნი არ არიან, თუმც არც ჩვენებს ჩაუქნევიათ ხელი — მათ საკმაოდ კარგი მოსამზადებელი პერიოდი გაიარეს. გვესაუბრება კადეტთა ერთ-ერთი მწვრთნელი ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი.

— ბულგარეთში 28 ივლისს, გამთენიისას მივემგზავრებით სტამბოლის გავლით, 29-ში უკვე ტურნირი იწყება.

**— ალბათ კარგ ხასიათზე მიდიხართ ბულგარეთში. მოსამზადებელი შეკრებები და მატჩები საკმარისად გქონდათ...**

— მომზადებას არ ვუჩივით — ლონდონში და მოსკოვში არაერთი მატჩი ვითამაშეთ, მაგრამ მთლად იდეალური იქნებოდა, ახლახან ოდესაში გამართულ ტურნირშიც რომ მიგვეღო მონაწილეობა. მაგრამ არა უშავს, ადრე ესეც არ იყო და ახლა ერთი ტურნირისთვის ორი უცხოური შეკრება გამოგვივიდა. დიდი მადლობა მერიის სპორტის სამსახურს და მის უფროს გიორგი უდესიანს მხარდაჭერისთვის.

**— სრული საბრძოლო შემადგენლობით მიდიხართ?**

— ერთი დანაკლისია და კიდევ რამდენიმეს ტრავმა აწუხებს. ტატო ტომარაძემ ესპანეთიდან ჩამოსვლა ვერ მოახერხა. სამუშაოები არ ჰქონდა წესრიგში და ახლის გაკეთება ვეღარ ესწრებოდა. ტატო ჩაჩიბაიასა და ალეკო ძიძიგურს კი ტრავმები აწუხებთ, თუმც ისინი მაინც მიდიან ბულგარეთში. ტურნირი საკმაოდ ხანგრძლივია და ტრავმირებულები ადგილზე მოშუშდებიან.

**— გუნდის ლიდერები როგორ ფორმაში არიან?**

— ძნელია, გამოკვეთილად ვინმე გამოყო, ჩვენი გუნდი საკმაოდ შეკრული და ერთსულოვანია. ისე კი, ლევან შენგელიას დავასახელებდი, რომელიც დღითი დღე იხვეწება და ძლიერ კალათბურთელად ყალიბდება. ასევეა გიორგი შერმადინიც, რომელიც ძალიან მონდომებული და მიზანმიმართულია.

**— მეტოქეებზე რა იცით და A დივიზიონში გადასვლის შანსებს როგორ აფასებთ?**

— სამწუხაროდ, მეტოქეებზე არანაირი ინფორმაცია არ გაგვაჩნია. ჩვენ რომელ ტურნირებშიც ვთამაშობდით, იქ ისინი არ გამოდიოდნენ. მასპინძელი ბულგარეთი იქნება ალბათ ყველაზე უხერხული მეტოქე, დანარჩენების დამარცხება კი უნდა მოვახერხოთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს.

**— გუნდის ხუთეული უკვე შერჩეული გყავთ?**

— გუნდს თავისი ბირთვი, რა თქმა უნდა, ჰყავს, მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ ერთი ხუთეულის განსაკუთრებულად დატვირთვას. მთლიანობაში ბულგარეთში რვა მატჩი უნდა ვითამაშოთ და, თუ სულ ერთ ხუთეულს დავეყრდნობით, ბიჭებს წელში გავწყვეტთ. ეს ისეთი ასაკია, რომ მოთამაშეს მაქსიმალურად უნდა მოუფრთხილდე, არ გადაღალო. ვეცდებით, ძალები დავაბალანსოთ და სათამაშო დრო ყველაზე თანაბრად გავანაწილოთ.

**— დღეს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ეთამაშეთ...**

— მხოლოდ ხუთი მოთამაშე ჰყავდა ეროვნულ ნაკრებს და სრულყოფილი მატჩი არ შედგა. სამი მეოთხედის შემდეგ 5 ქულას ვიგებდით და ეროვნულის ბიჭები ზედმეტად რომ არ გადაღლილიყვნენ, თამაში შევწყვიტეთ. ამ დღეებში „მაკაბის" შევხვდით ორჯერ და ორჯერვე ვიმარჯვეთ. ვნახოთ, რა იქნება ბულგარეთში.

**ირაკლი პერტაია**

**საქართველოს კადეტთა საბულგარეთო ნაკრები**

ტატო ჩაჩიბაია
ლაშა დევიძე
ალეკო ძიძიგური
დავით მაისურაძე
რიჩარდ მათიაშვილი
ლევან შენგელია
გიორგი შერმადინი
ლევან ცქვავა
ნიკოლოზ წერეთელი
გიგი ცერცვაძე
ბექა ნივნივაძე

NBA

# კლივლენდს ვინდა?

## იასიკევიჩუსმა ინდიანა ინდომა



**თავისუფალი** აგენტების ბაზარი როგორც კი გაიხსნება, ნბაში კიდევ ერთი ევროპელი შეაბიჯებს. საზოგადოდ, ბებერი კონტინენტის მკვიდრი ბიჭბუჭები ადრეულადვე იწყებენ ნბა-ში თამაშზე ოცნებას და მერე თუ ვინმეს გაუმართლა და იქ მოხვდა, აღარ დაგიდევთ, რომელ გუნდში ჩაირიცხება. ევროპაში მოთამაშეთაგან მხოლოდ ერთი-ორია ისეთი, ოკეანგაღმა პირველივე სატელეფონო ზარის შემდეგ რომ არ გარბიან და ნებისმიერი ნბა-ური გუნდის ნებისმიერი სახის შემოთავაზებას წყალობად არ მიიჩნევენ.

ევროპის საუკეთესო კალათბურთელ დეიან ბოდიროგას წლების განმავლობაში ეხვეწებოდნენ, წამოდით, მაგრამ მან არ ისურვა ნბა-ს საშუალო გაქანების გუნდში ერთი-ორ მილიონად გადასვლა და არც უნანია, ბოლომდე ბებერ კონტინენტს რომ შერჩა.

სწორედ ანალოგიურ ვითარებაში იყო ლიტველი კარსკვლავი, ორი წლის წინ ევროპირველობის და კიდევ ბევრი ტიტულის მომგები შარუნას იასიკევიჩუსი, თუმც მან ბოლოს და ბოლოს მაინც გადაწყვიტა ჰაერის და ლიგის გამოცვლა და 29 წლისა ამერიკაში გაემგზავრა.

193-სანტიმეტრიან ლიტველ გამთამაშებელს ამ სეზონთაშორის პერიოდში სამი გუნდი ეპატიჟებოდა — „იუტა ჯაზი", როგორც უამბიციო გუნდი, შარუნასმა იმთავითვე გამორიცხა და არჩევანი „ინდიანა პეისერზსა" და „კლივლენდ კავალერზს" შორის გააკეთა.

„კლივლენდი" ამ ბოლო თვეში გვარიანად მოძლიერდა — 60 მილიონად 5 წლით აიყვანა ექსვაშინგტონელი ლარი ჰიუზი, 22 მილიონად 4 წლით ტორონტოდან წამოსული დონიელ მარშალი და 50 მილიონი მისცა საკუთარ თავისუფალ აგენტ ჟიდრუნას ილგაუსკასს, რათა ის „კლივლენდში" კიდევ 5 წლით დარჩენილიყო.

ერთხელაც შეგახსენებთ, „კლივლენდი" ლებრონ ჯეიმსის გუნდია და ასეთი ხალხის ჩამოთვლის შემდეგ „კავალერიას" უამბიციოს ნაღდად ვერ ვუწოდებთ, თუმც იასიკევიჩუსს გულმა მაინც „ინდიანასკენ" გაუწია, რაკი თვლის, ეს გუნდი პლეი ოფში უფრო გამოჯეგილია და უახლოეს წლებში ჩემპიონობის შანსი მას უფრო აქვს, ვიდრე „კლივლენდს".

„ინდიანა" მართლაც უფრო სტაბილური, პლეიოფის გუნდია. 1997 წლის შემდეგ იქ ყოველთვის ხვდებოდა და 2000 წელს ლარი ბერდმა ფინალშიც კი გაიყვანა, ხოლო 2004 წელს, როცა ბერდი პრეზიდენტი გახლდათ (ახლაც გახლავთ) და არა მწვრთნელი, „პეისერზმა" აღმოსავლეთის ფინალს უწია. წლეულსაც შორს წავიდოდნენ ინდიანელები, მათ ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშე რონ არტესტს სეზონის დასაწყისშივე დეტროიტში რიგით მატჩში გულშემატკივრებთან ხელჩართული ჩხუბი რომ არ გაემართა და დისკვალიფიკაციების ქარიშხლით არ დაელუპა თავისიანები.

ერთი სიტყვით, ევროპის ერთ-ერთმა რჩეულმა მოთამაშემ ლარი ბერდის „ინდიანა" ირჩია და ამ გუნდთან სულ მალე გააფორმებს 3-წლიან და 12-მილიონიან კონტრაქტს. არადა, შარუნასი „კლივლენდში" რომ წასულიყო, იქ ნამდვილ ლიტვურ მიკროსამყაროში მოხვდებოდა. ჟიდრუნას ილგაუსკასი მისი ძმაკაცია და ამ ახმახის ქორწილში შარშან იასიკევიჩუსი რიგით სტუმრად კი არა, მეჯვარედ გახლდათ. და კიდევ, წლევანდელ დრაფტზე „კლივლენდმა" კიდევ ერთი ლიტველი, 19 წლის მარტინას ანდრიუშკევიჩუსი აიყვანა.

კლივლენდშიც ძალიან სურდათ იასიკევიჩუსის ხილვა, თუმც რაკი ეს საქმე არ გამოვიდა, იქ ალბათ კიდევ ერთ ევროპელ გამთამაშებელს, სერბ მარკო იარიჩს მიიწვევენ. იარიჩი, იასიკევიჩუსისგან განსხვავებით, ნბა-ში გამოცდილი კაცია, „ლოს ანჯელეს კლიპერსში" სამი სეზონი მოულევია, თანაც ძირითადად ძირითად ხუთეულში.

**კოტე ყორშია**

ხელბურთი

# ვენაში წილი ყარეს

**გუშინ** ვენაში, ევროპის ხელბურთის ფედერაციის შტაბბინაში მოეწყო 2005-06 წლების სეზონის ევროთასების წილისყრა.

164 გუნდმა განაცხადა ათ ტურნირში მონაწილეობის სურვილი. მათ შორისაა ქართული ოთხეულიც: ქვეყნის 15-გზის ჩემპიონი „სტუ-შევარდენი“, ვიცე-ჩემპიონი „ხ/კ თბილისი“, ბრინჯაოს პრიზიორი „საუ-მამული“ და მეხუთეადგილოსანი „თელავი“.

შევარდენი და „თბილისი“ ევროფედერაციის თასზე გამოვლენ. ჩემპიონები მეორე რაუნდიდან, ოქტომბერში ჩაებმებიან, თბილისელებს კი პირველ წრეში ისლანდიის „ვალურთან“ მოუწევთ დაპირისპირება. თამაშები 4 და 11 სექტემბერს შედგება.

„მამულიც“ ჩელენჯ ქაფზე მეორე ეტაპიდან გაიბრძოლებს, „თელავს“ კი 30 სექტემბერ — 2 ოქტომბერს ოთხგუნდა ჯგუფში მეტოქეობას გაუწევენ რუმინეთის „პლოეშტი“, ნორვეგიის „ნიტედალი“ და მაკედონიის „ტიკვეს კავადარცი“. ორი საუკეთესო მეორე წრეში გავა. ტურის მასპინძლის ვინაობა მოგვიანებით გაირკვევა.

ჭიდაობა

# თავისუფალი სელექცია
## პოლონეთში ხალიჩა იშლება



**2-7 აგვისტოს** პოლონეთის ქალაქ ვროცლავში თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის ახალგაზრდა მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. ახალგაზრდებმა მსოფლიო ახლახან მოილიეს და თუ ევროპაც საჭიდაო ჰქონდათ, ალბათ ჯობდა, ფილას კალენდარში სეზონის უმთავრესი ტურნირი ბოლოსკენ ჩაესვათ. ყველა ასე ფიქრობს, თავად საერთაშორისო ფედერაციისგან. კი უცნაურ გადაწყვეტილებებსა და „სიურპრიზებს“ უკვე იმდენი ხანია, შევეჩვიეთ, კალენდარი რაღა სალაპარაკოა.

ისევ მომავალ ტურნირს მივუბრუნდეთ.

პირველები პოლონეთში თავისუფლად მოჭიდავეები გაფრინდებიან. ნუგზარ სხირელის სამწყსო ხვალ მიემგზავრება და 2-3 აგვისტოს ხალიჩაზეც გავა, ვლადიმერ ადეიშვილის ბიჭები კი ვროცლავში 3-ში ჩავლენ და 6-7-ში იჭიდავებენ.

გუშინ თავისუფალთა თავკაცს საევროპო სამზადისსა და შემადგენლობაზე დავეკითხეთ.

ნუგზარ სხირელი:

— მსოფლიოს ჩემპიონატიდან დაბრუნების შემდეგ ბიჭებს რამდენიმე დღით დასვენების საშუალება მივეცი, საპოლონეთოდ კი 15 ივლისიდან „შრომითი რეზერვების“ ბაზაზე შევიკრიბეთ. ჩემპიონატზე წამსვლელ ყველა მოჭიდავეს 3-4 სპარინგი ჰყავს და სერიოზულადაც ემზადება. გუნდის წევრებთან ერთად შევთანხმდით, რომ შემადგენლობაში ცვლილებები განგვეხორციელებინა და მსოფლიოზე ნაჭიდავები სამი სპორტსმენი შევცვალეთ. 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში ცოტნე ბარამიძე იჭიდავებს, 74-ში ნიკა ტლაშაძე, ხოლო მძიმე წონაში გიორგი ნიკურაძე. ამ ბიჭებმა თავიანთი შესაძლებლობები ახლახან, ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტურნირზე გვაჩვენეს და ნაკრებში გასინჯვასაც იმსახურებენ.

...მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი მედალი ავიღეთ და გუნდურში მესამე ადგილი დავიკავეთ. შედეგით უკმაყოფილო ნამდვილად არ დავრჩენილვარ, რადგან იმ შემადგენლობაში საერთაშორისო გამოცდილება მხოლოდ ორ მოჭიდავეს ჰქონდა. ვეცდებით, ევროპაზე უკეთესი შედეგი ვაჩვენოთ, თუმც ახალგაზრდულ მედლებზე მთავარი დიდი ნაკრების წევრთა მოძებნა და გაზრდაა. სელექცია ცხადია, შემდგომშიც გაგრძელდება, რათა ქართული ჭიდაობის მომავალი აწმყოზე უკეთესი იყოს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

| საქართველოს ნაკრები თავისუფალი ჭიდაობა | |
|---|---|
| 50 კგ | კოკა კოტორაშვილი |
| 55 კგ | მალხაზ ქურდიანი |
| 60 კგ | მალხაზ ზარქუა |
| 66 კგ | ცოტნე ბარამიძე |
| 74 კგ | ნიკა ტლაშაძე |
| 85 კგ | ნიკო გაგნიძე |
| 96 კგ | ზაალ მარტიაშვილი |
| 120 კგ | გიორგი ნიკურაძე |

ცურვა

მსოფლიოს ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში. მონრეალი. 17-31 ივლისი



როლანდ შოემანმა ორ დღეში ორი რეკორდი გამოაცხო

# კაცი-რეკორდი
## ვილაცამ აუზს გადაუფრინა

**მონრეალის** მსოფლიოს ჩემპიონატი ჯერჯერობით მაინცდამაინც არ უჩივის საცურაო რეკორდების ნაკლებობას. ეს ბატერფლაიც ისეთი რამაა, რეკორდები ლამის ყოველ ტურნირზე მყარდება. სწორედ ბატერფლაის ოსტატი გახლავთ რეკორდებისა და საჩემპიონო ოქროების ორივე მუჭით მხვეჭველი ამერიკელი მაიკლ ფელპსი. „ბოი-ბატერფლაი“ ალბათ მონრეალსაც არ დატოვებს ურეკორდოდ, თუმც ამჯერად სულ სხვა მერეკორდის შესახებ მოგახსენებთ.

კაცთა შორის ბატერფლაის სტილით გასაცურ 50 მეტრზე ნამდვილი სასწაულები აკეთა სამხრეთაფრიკელმა როლანდ შოემენმა. მან უკვე ნახევარფინალურ გაცურვაში აჩვენა ისეთი დრო, რაც აქამდე არაკაცს არასდროს უჩვენებია — 50 მეტრი 23.01 წამში დაფარა და ამერიკელი იან კროკერის რეკორდს არც მეტი, არც ნაკლები, 0.29 წამი ჩამოაჭრა. ცურვა კი ისეთ რამაა, წამის მეათედებს და თუნდაც მეასედებს ნუ ეხუმრებით. მაგრამ ეს არაფერი, მთავარი თურმე წინ იყო. 25 ივლისს უკვე ფინალური გაცურვის დროს შოემანმა უფრო სწრაფად გააპო ტალღები და 23 წამს ჩამოსცდა კიდეც — ახალ რეკორდად 22.96 წამი დააფიქსირა.

„რაღაც ფენომენალური შედეგი ვაჩვენე — დიდ თავმდაბლობას არ იჩენდა ახალგამომცხვარი და რეკორდების მცხობელი ჩემპიონი — ვიცოდი, რომ რეკორდს დავამყარებდი და ნახევარფინალში ეს რომ შევძელი, არც გამკვირვებია, მაგრამ ფინალში, სადაც ყოველთვის მეტ წნეხს გრძნობ, ნაღდად არ ველოდი რეკორდს, თანაც ასეთს. 23 წამზე ნაკლები დროის ჩვენება რაღაც არაამქვეყნიური შედეგია.“

ძველი რეკორდის მფლობელმა იან კროკერმა ფინალში როგორც კი იცურა, იმ ძველ რეკორდს თავადაც ბლომად ჩამოაჭრა და 23.12 წამი აჩვენა, მაგრამ, როგორც ხედავთ, ეს დრო ვერ ჯობს 22.96-ს და ამერიკელიც ვერცხლს დასჯერდა.

მაინც კმაყოფილია — ჩემი საუკეთესო დრო ვაჩვენე და ესეც საქმეაო.

ურეკორდოდ ჩაიარა 25 ივლისის მეორე „კაცურმა“ გაცურვამ. ვაჟები 100 მეტრზე ბრასის ფინალში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს და ამ დისციპლინაში მსოფლიოს რეკორდის მფლობელმა ამერიკელმა ბრენდან ჰანსენმა ბოლოს და ბოლოს შეძლო იაპონელი კოსუკე კიტაჯიმას გადასწრება. ჰანსენმა რეკორდი შარშან დაამყარა, თუმც მან ყველა პრინციპულ ტურნირზე წააგო კიტაჯიმასთან — 2003 წელს ბარსელონის მსოფლიოს ჩემპიონატზეც და ერთი წლის შემდეგ ათენის ოლიმპიადაზეც. ახლა მას საკმარისზე მეტი მოტივი ჰქონდა, მონრეალისთვის უფრო გულმოდგინედ მომზადებულიყო და, ჰა, საწადელიც აისრულა. ჰანსენი თავიდანვე გაიჭრა წინ და 100-მეტრიანი დისტანციის ნახევარი, ანუ აუზის სიგრძე რომ გაცურა, უკვე ნახევარი ტანით უსწრებდა იაპონელს. კიტაჯიმამ მეორე ნახევარზე უფრო ღონივრად მოუსვა მკლავები და საბოლოოდ პირადად მისთვის საუკეთესო დრო — 59.53 წამი აჩვენა, თუმც მაინც ჩამორჩა ამერიკელს. სათქმელია, რომ ერთ წუთში მხოლოდ ჰანსენი და კიტაჯიმა ჩაეტივნენ.

ახლა ქალთა აუზშიც ჩავიხედოთ, სადაც ასევე ორი ფინალი ჩადგაფუნდა. 100 მეტრ ბატერფლაიში ორმა ავსტრალიელმა ქალთევზამ, ჯესიკა შიპერმა და ლიზბეტ ლენტონმა აინუნშიაც არ ჩააგდეს დანარჩენი მსოფლიო და ოქრო-ვერცხლის ერთმანეთში გაყოფა იწყეს. საბოლოოდ ორივემ პირადსარეკორდო დრო აჩვენა — შიპერმა 57.23 წამი, ლენტონმა კი 57.37. იმათ შორის გამარჯვებულ-დამარცხებული კი თავად გაარჩიეთ.

ამერიკულ ოქროულს ერთიც მიამატა 200 მეტრი კომპლექსური გაცურვის მომგებმა კეტი ჰოფმა, ვისაც ერთადერთი რეალური პრეტენდენტი, ზიმბაბველი კრისტი ქოვენთრი ჰყავდა და მასაც ნახევარ წამზე მეტით მიასწრო ფინიშთან.

ახლა კი დროებით დავივიწყოთ ჩემპიონ-რეკორდსმენები და ჩვენებურ ბიჭებზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა, რომლებიც მონრეალში ოთხნი არიან და უკვე ხუთ გაცურვაში მონაწილეობდნენ. მართალია, მხოლოდ საკვალიფიკაციო გაცურვაში გამოდიოდნენ და 16-კაციან ნახევარფინალს ვერცერთი მიუახლოვდა, მაგრამ ქართველებს რამდენიმე ათეული წელიწადია, რაც არ გვყოლია კარგი მოცურავე და დღევანდელი ვითარება საქართველოს წარმომადგენლობისთვის ასეთ ტურნირში მონაწილეობაც საქმეა.

ათენის ოლიმპიელმა ზურაბ ხომასურიძემ ორ გაცურვაში მიიღო მონაწილეობა — 200 მეტრზე თავისუფალი სტილის კვალიფიკაციაში 1 წუთი და 59.36 წამი აჩვენა, საუკეთესო კვალიფიკანტ გრანტ ჰაკეტს 11.48 წამით ჩამორჩა და საბოლოოდ 78-ე ადგილი დაიკავა. 50 მეტრ ბატერფლაიში ხომასურიძის დრო 26.38 წამი — 2.88 წამით ჩამორჩა კვალიფიკაციის მოწინავეს და ჩვენებურს 65-ე ადგილი შეხვდა.

200 თავისუფალ მეტრზე 2 წუთით და 1.63 წამით 84-ე გახდა ალექსანდრე მოსეშვილი, ჰაკეტს 13.35 წამით ჩამორჩა.

100 მეტრ ბრასში 1 წუთით და 9.57 წამით 77-ე იყო ივანე ლუსკაძე (კოსუკე კიტაჯიმას 9.36 წამით ჩამორჩა).

ჯერჯერობით საუკეთესო შედეგი აჩვენა ცნობილი ფეხბურთელის ზაზა რევიშვილის ვაჟმა ირაკლიმ, რომელმაც 400 მეტრზე თავისუფალი სტილით 4 წუთსა და 12.18 წამში გაცურა, 49-ე ადგილი შეხვდა და 27.55 წამით ჩამორჩა საუკეთესო კვალიფიკანტ გრანტ ჰაკეტს.

**კოტე ყორშია**

ცურვა

| კაცები 50 მ ბატერფლაი | |
|---|---|
| 1 როლანდ შოემანი (ს. აფრიკა) | 22,96 |
| 2 იან კროკერი (აშშ) | 23,12 |
| 3 სერგეი ბრიუსი (უკრაინა) | 23,38 |
| **100 მ ბრასი** | |
| 1 ბრენდან ჰანსენი (აშშ) | 59,37 |
| 2 კოსუკე კიტაჯიმა (იაპონია) | 59,53 |
| 3 ჰიუ დობუსკი (საფრანგეთი) | 100,20 |
| **ქალები 100 მ ბატერფლაი** | |
| 1 ჯესიკა შიპერი (ავსტრალია) | 57,23 |
| 2 ლიზბეტ ლენტონი (ავსტრალ.) | 57,37 |
| 3 ოტილია ჟედრჟეშჩაკი (პოლ.) | 58.57 |
| **200 მ კომპლექსური** | |
| 1 კეტი ჰოფი (აშშ) | 2.10,41 |
| 2 კრისტი ქოვენთრი (ზიმბაბვე) | 2.11,13 |
| 3 ლარა კეროლი (ავსტრალიაა) | 2.13,32 |

# შენგენური მე შენ გელი

*ჰელსინკიში მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატისას, რომელიც 6-14 აგვისტოს გაიმართება, მნიშვნელოვნად გამკაცრდება უსაფრთხოების წესები. უფრო სწორედ, უკვე მესამე დღეა, რაც ფინეთში დაწესდა ამ ქვეყანაში შენგენის ზონიდან შემსვლელთა კონტროლი. ამის თაობაზე გადაწყვეტილება ფინეთის სახელმწიფო საბჭომ მიიღო.*



ჰელსინკის ოლიმპიური სტადიონი დიდ მოლოდინშია

**უსაფრთხოების** ასეთი ღონისძიებები ფინეთში პირველად ტარდება მას მერე, რაც ეს ქვეყანა შენგენის ზონაში შევიდა. სასაზღვრო კონტროლი ჩემპიონატის ბოლომდე გასტანს.

ფინეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ პრეს-რელიზში ნათქვამია, რომ საზღვარზე შენგენის ზონიდან შემომსვლელებს უკლებლივ ყველას არ შეამოწმებენ. თუმცა, ყველა მოქალაქეს მოუწოდებენ, რათა შესამოწმებლად მზად იყვნენ.

„განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობათ „რისკის ჯგუფის" წევრებს, რომლებიც უშიშროების პოლიციის სამსახურის წარმომადგენლებს აღრიცხვაზე ჰყავთ. ამას გარდა, შესაძლებელია შენგენის ზონიდან შემომსვლელები შემთხვევითი არჩევით შეამოწმონ," — თქვა ფინეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

ამავე სამინისტროს განცხადებაში აღნიშნულია, რომ ქვეყანაში შენგენის ზონიდან შემსვლელთათვის სასაზღვრო კონტროლი შემოღებულია მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეთა და სტუმართა უსაფრთხოებისთვის, რაც ევროპაში ტერაქტების მომრავლებასთანაა დაკავშირებული. კონტროლი გამკაცრებულია აგრეთვე იმის გამო, რომ აღიკვეთოს ფინეთში დამნაშავეთა ჯგუფების შეღწევა, რომლებიც შესაძლოა შეეცადნონ საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიების თავიანთ სასარგებლოდ გამოყენებას.

ფინეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა აგრეთვე განაცხადეს, რომ შეჯიბრებისას საზღვარზე უსაფრთხოების კონტროლი ბევრად გაძლიერდება, განსაკუთრებით საერთაშორისო გამშვებ პუნქტებში. ჩემპიონატის დღეებში საერთოდ დაიხურება ჰელსინკის საჰაერო სივრცე.

ხელისუფლება ფინეთის დედაქალაქის მოქალაქეებს და სტუმრებს მოუწოდებს ყურადღებისკენ და სთხოვს, მიტოვებული საგნებისა და საეჭვო ნივთების შემჩნევისთანავე აცნობონ სათანადო ორგანოებს.

ფინეთის შინაგან საქმეთა მეთაურმა კარი რაიამიაკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფინეთში უსაფრთხოების ასეთი უპრეცედენტო ღონისძიებანი დაკავშირებულია მსოფლიოში გართულებულ ვითარებასთან. აგრეთვე იმასთანაც, რომ მომავალი ჩემპიონატი ფინეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უდიდესი სპორტული მოვლენაა.

უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ფინეთის მთავრობამ ბიუჯეტიდან 3,5 მილიონ ევრომდე გამოჰყო.

წინასწარი პროგნოზით მოსალოდნელია, რომ ჩემპიონატის განმავლობაში ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე 400 ათასამდე მაყურებელი მივა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# გენერალური რეპეტიცია



დუაიტ ფილიპსი

**ჰელსინკის** სამძლეოსნო გრან პრი უფრო რეპეტიცია იყო — მოგეხსენებათ, 6-14 აგვისტოს ფინეთის დედაქალაქში IAAF-ის მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება და განახლებულ ოლიმპიურ სტადიონზე, საკუთრივ ამ სარბიელის ჩათვლით, ყველაფერი შეამოწმეს. შეამოწმეს მასპინძელი ქვეყნის სპორტსმენთა ბიჭობაც. რად უნდა ლაპარაკი, მასპინძლობა ფინელ ათლეტებს დიდი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ აგდებს, მაგრამ შუბის მტყორცნელი ტერო პიტკამაკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან წინასწარი გამოცდა საუცხოოდ ჩააბარა. პიტკამაკიმ თავისი შუბი 85,66 მეტრზე ტყორცნა.

ყურადღება მიიპყრო ამერიკელმა დუაიტ ფილიპსმაც, რომელმაც ტრიბუნებზე თავმოყრილ 12 151 მაყურებელს სიგრძეში 8,44 მეტრზე ნახტომი აჩვენა.

ფილიპსი, არ დავივიწყოთ, რომ IAAF-ის რეიტინგში სიგრძეზე მხტომელთა შორის პირველ ადგილზეა.

ისიც საინტერესოა, რომ სიგრძეზე მხტომელთა სექტორშიც თავიდან ფინელმა მსოფლიოს ჩემპიონმა ტომი ევილამ მისცა კონკურენტებს ტონი (8,22მ), მაგრამ ამერიკელმა ეგრე არ უნდაო და 8,44-ით შეჯიბრება დაასრულა.

გადავინაცვლოთ ქალთა 100 მეტრზე რბენის სექტორში, სადაც იამაიკელმა ვერონიკა კემპბელმა დისტანცია 11,12 წამში გაირბინა.

მოგეხსენებათ, კემპბელი 200 მეტრზე რბენის ჩემპიონიც არის და ამიტომ, გასულ უქმეებზე, მისი ლონდონურ „გრან პრიზე" უმდელოდ დარჩენა ყველას გაუკვირდა.

და ბოლოს, ჰელსინკური ამბებიდან კიდევ ერთი შეიძლება გამოვყოთ — რაკილა წერა ფინელების წარმატებით დავიწყეთ, მათივე წარმატებით დავასრულოთ: უროს ტყორცნაში დუელი 2000 წლის ოლიმპიურ ჩემპიონ შიმონ ზიოლკოვსკისთან ოლი-პეკა კარიალაინენმა მოიგო. მისი შედეგი იყო 78,09 მეტრი, რაც იმას ნიშნავს, რომ ვაგლახ, იგი 80 მეტრიან ნიშნულთან შორს არის.

**ტუტა სიხარულიძე**







# ელ გურუჯის გარეშე

**ორი** ოლიმპიური ოქროს მფლობელმა და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა 1500 მეტრზე რბენაში, ვარსკვლავთა შორის უვარსკვლავესმა მაროკოელმა ჰიჩამ ელ გურუჯმ თავისი ქვეყნის მძლეოსნობის სამეფო ფედერაციას დაუდასტურა, რომ 6—14 აგვისტოს, ჰელსინკიში გასამართ მსოფლიოს მეათე ჩემპიონატში მონაწილეობას არ მიიღებს. 1995 წლის ანუ მას მერე, რაც პირველად გამოვიდა მსოფლიოს ჩემპიონატზე და ვერცხლის მედალი მოიგო, დიდი შეჯიბრება ელ გურუჯის გარეშე ჯერ არ ყოფილა.

„ძალიან ვწუხვარ მსოფლიოს ჩემპიონატი რომ უნდა გამოვტოვო, მაგრამ რა გაეწყობა. ჰელსინკიში ისე ჩავალ, მაროკოელი სპორტსმენების გასამხნევებლად, — განაცხადა ელ გურუჯმა მაროკოს პრესსააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში, სადაც დასძინა, — ივნისამდე კარგად ვემზადებოდი და მინდოდა 5000 მეტრზე რბენაში გამომეჩინა თავი, მაგრამ შემდეგ ყველაფერი ამერია. ვყოყმანობდი, ბოლო წამამდე მაინც ვიკავებდი კატეგორიული გადაწყვეტილებისგან თავს, მაგრამ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტთან, ფედერაციის პრეზიდენტთან, ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან საუბრების შემდეგ გამჯობინე ჩემპიონატზე აღარ გამოვსულიყავი."

31 წლის ელ გურუჯმ განაცხადა; რომ წლეულს საერთოდ დაისვენებს მძლეოსნობიდან, შემდეგ კი შეიძლება მომავალი წლის დარბაზთა სეზონისთვის მოემზადოს.

**ტუტა სიხარულიძე**

# ლურჯ-მწვანე სოჭის თეთრი პრეტენზია

**რუსეთი** თავისას არ იშლის და ცდილობს 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების უთოვლო სოჭში მიღებას. აქამდე სოჭის კანდიდატურაზე მხოლოდ საუბრობდნენ, ახლა კი ეს საქმე რუსეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა გუშინ ხელმოწერით დაადასტურა.

2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მისაღებად მოსკოვი სულ რაღაც სამიოდე კვირის წინ რომ ჩაფლავდა, რუსეთში ახალი წინასაარჩევნო კამპანია წამოიწყეს — ამჯერად თეთრი ოლიმპიადის სამასპინძლოდ.



„ვიმედოვნებ, სოჭის წამოყენება 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ დამატებით სტიმულს მოგვცემს ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურის დონის ასამაღლებლად, სპორტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, სპორტში ახალგაზრდობის მისაზიდად" — თქვა სახელმწიფო დუმის სპიკერმა ბორის გრიზლოვმა.

შეგახსენებთ, რომ 1994 წელს სოჭის კანდიდატურა წამოყენებული იყო ზამთრის ოლიმპიადის სამასპინძლოდ, მაგრამ იმ ბრძოლაში სოლტ ლეიკ სიტიმ გაიმარჯვა.

სოჭი იმ კონკურენციაში უკონკურენციო იყო თავისი მოუმზადებლობით. მაშინ ჩვენ არ გვქონდა საკუთარი თავის წარდგენის გამოცდილება — დაახლოებით ასე დაახასიათა იმდროინდელი წამოწყება ვლადიმერ პოტანინმა, რომლის კომპანია „ინტერროსი" ამჟამად სოჭის „კრასნაია პოლიანაზე" თანამედროვე სამთო-სათხილამურო კურორტ „როზა ხუტორს" აშენებს. ამავე დროს კანადის ცნობილმა საპროექტო ორგანიზაცია „ეკოსაინმა" კრასნაია პოლიანაზე ჩაატარა გამოკვლევა და მიზანშეწონილად ჩათვალა ამ ადგილის უნიკალურ ბუნებრივ კურორტად გამოცხადების შესაძლებლობა, სადაც მოეწყობა ყველა ოლიმპიური სამთო-სათხილამურო შეჯიბრება.

აღსანიშნავია, რომ „ეკოსაინი" სწორედ ის ორგანიზაციაა, რომელმაც დააპროექტა 1988 წლის კალგარის ოლიმპიური თამაშების ინფრასტრუქტურა და 2002 წლის სოლტ ლეიკ სიტისაც. ეს ორგანიზაცია არის ვანკუვერის მომავალი 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების დამპროექტებელიც.

„ახლა სოჭზე და კრასნაია პოლიანაზე, როგორც ზამთრის კურორტზე, ძალზე ცოტას თუ სმენია, მაგრამ როგორც კი ის საოლიმპიადოდ მოეწყობა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი უყოყმანოდ თუნდაც ზედიზედ ორჯერ მოგვცემს ოლიმპიური თამაშების გამართვის უფლებას — ამბობს რუსეთის სათხილამურო რბოლების ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ ლოგინოვი. — ახლა საკითხავი მხოლოდ ისაა, თუ ქალაქის ხელისუფალნი, ინვესტორები და ჩვენ ყველანი რამდენად სწრაფად გადავაქცევთ ამ ველურ ბუნებას თანამედროვე ზამთრის სპორტის სახეობათა ცენტრად."

კრასნაია პოლიანაში ოლიმპიადის გამართვის ორგანიზატორებს მოუწევთ ერთდროულად რამდენიმე გლობალური პრობლემის გადაჭრა, რომელთაგან უმთავრესი ფინანსირების საკითხი იქნება. საინფორმაციო გამოცემა „ვერსია. სრულიად საიდუმლოდ" იუწყება, რომ სოჭში 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა რუსეთს 4,5 მილიარდი დოლარი დაუჯდება მაშინ, როცა მოსკოვს 2012 წლის თამაშების სამასპინძლოდ მხოლოდ 2 მილიარდის დახარჯვა ჰქონდა ნავარაუდევი.

თანხაში ასეთი დიდი სხვაობა, უწინარეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ სოჭში არ არის მსხვილი სპორტული ობიექტები, საერთაშორისო მნიშვნელობის ასპარეზობათა გასამართავი ინფრასტრუქტურა... მაგალითად, ქალაქში ერთი საციგურაო რბოლების სასახლის აშენება ამ სახეობის ფედერაციის ვლადიმირ კომაროვის თქმით, 30-40 მილიონი დოლარი დაჯდება.

ისიც უნდა ითქვას, რომ სოჭის სიახლოვეს თოვლი პრაქტიკულად არ არსებობს. ამიტომაც, შეჯიბრებათა გამართვა მთების კენწეროზე მოუწევთ, რაც დამატებით სირთულეებს შექმნის, მითუმეტეს, რომ თოვლი იქაც იშვიათობაა.

ასეა თუ ისე, სოჭის ოლიმპიური პრეტენზიები რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლეონიდ ტიაგაჩოვმა თავისი ხელმოწერით დაადასტურა. ეს განაცხადი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში 28 ივლისამდე უნდა მოხვდეს და, როგორც ეტყობა, მოხვდება კიდეც.

აქვე შეგახსენებთ, რომ მსგავსი წინადადებებით საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ოფიციალურად უკვე მიმართა ჩვენმა ბორჯომმა, შვედეთის ოსტერსუნდმა, კორეის პიონგჩანგმა, ავსტრიის ზალცბურგმა, ბულგარეთის სოფიამ და ესპანეთის ხაკამ, რომელიც ამგვარ ბრძოლაში მეექვსედ ებმება.

არიან სხვა მსურველებიც, რომლებსაც თავიანთი პრეტენზიები ოფიციალურად ჯერ არ წამოუყენებიათ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# კრამნიკს იმედი გაუჩნდა



**კლასიკური** ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა რუსმა ვლადიმირ კრამნიკმა ფიდესთან საერთო ენა გამონახა და მსოფლიოს გამაერთიანებელ რვაკაცა მატჩ-ტურნირში მონაწილეობას დათანხმდა. რუსი დიდოსტატის აზრით, ფიდესა და მოჭადრაკეებს შორის ძველებურად დაძაბული ვითარება აღარ სუფევს და მდგომარეობაც გამოსწორებისკენ მიდის. ამ ტურნირის შემდეგ კი კრამნიკი კომპიუტერებთან შებმას აპირებს.

„მეგონა, რომ ფიდე არაფერს აკეთებდა, მაგრამ შევცდი — განაცხადა მოჭადრაკემ — ახლა გამიჩნდა იმედი, რომ გამაერთიანებელი მატჩი შედგება, მეც გადავწყვიტე, ვითამაშო და ჩემი მაქსიმუმი გამოვავლინო. ასევე მსურს, კომპიუტერს შევხვდე, რადგანაც სპორტის ამ სახეობაში ადამიანთა შესაძლებლობები ჯერ არ ამოწურულა."

შედგება თუ არა კრამნიკისა და კომპიუტერის ჯახი, ჯერ ცნობილი არ არის, გამაერთიანებელი მატჩი კი არგენტინულ სან-ლუისში 27 სექტემბრიდან 16 ოქტომბრამდე გაიმართება.

**ლაშა გეგეჭკორი**

# ლინდსის მკერდი რბოლას შეეწირა



**ცხრამეტი** წლის მსახიობმა ლინდსი ლოგანმა მადრიდში წარმოადგინა ფილმი, რომელშიც თავად მონაწილეობს. ამ ფილმის სახელწოდებაა „ჰერბი: გიჟური რბოლა".

ამ აქციაში ლოგანს დაეხმარა მაიკლ კიტონი, რომელიც ასევე „გიჟური რბოლის" მონაწილეა.

„ჰერბი" — ეს არის კლასიკური „ფოლკსვაგენის" „ხოჭო". მანქანის კარკასი სრულებითაც არ შეესატყვისება NASCAR-ის რბოლათა კლასიკურ კანონებს, რომელიც ძალზე პოპულარულია ამერიკაში. თუმცა, როგორც კი „ხოჭოს" მფლობელი ხდება მშვენიერი, ხალისიანი ლინდსი, რომელიც გამარჯვების წყურვილითაა აღსავსე, ვითარება კარდინალურად იცვლება. ამის მერე ლოგანი და „ჰერბი" ერთ მთლიან არსებად იქცევიან, რომელთა უმთავრესი მიზანი NASCAR-ში მონაწილეობა და გამარჯვებაა. მთელი ფილმის განმავლობაში მისი მთავარი გმირები მიზნისკენ მიისწრაფვიან და მზად არიან თავბრუდამხვევი სიმაღლეების დასაპყრობად.

ფილმში ასახულია NASCAR-ის რბოლებისთვის დამახასიათებელი სისწრაფე, აზარტი, წარმატება...

ლინდსი ლოგანი ასეთი ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, გამოცდილი და ცნობილი მსახიობაა. თავისუფალ დროს გატაცებით თამაშობს კალათბურთს, ცეკვავს და ტანვარჯიშსაც მისდევს. სამსახიობო ნიჭთან ერთად ლინდსი მშვენივრადაც მღერის. ამის დასტური იქნება მისივე ჩანაწერების დისკი, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ გამოვა, მანამდე კი...

მანამდე გაიმართა ფილმის სატესტო ჩვენება. მაყურებელი გააოცა ამგვარი ჟანრის ფილმებისთვის მეტად შეუფერებელმა ლინდსი ლოგანის დიდმა მკერდმა. ფილმის ავტორებმა ყურად იღეს კრიტიკა და მეკომპიუტერეების დახმარებით ლოგანის ბიუსტი ორი ზომით შეამცირეს.



## ჩემპიონთა ლიგა 2005-2006

### მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

**ანართოსისი** (კვიპროსი) 3:1 **ტრაბზონსპორი** (თურქეთი)

1:0 ნიკოლაუ (25), 1:1 ფათიჰ ტეკე (75), 2:1 ფრუსოსი (82), 3:1 **წიტაიშვილი** (90)

**ანართოსისი:** გეორგალიდისი, ქსენიდისი, კაცავაკისი, პურსაიტიდისი, ჰაბერი, **ძეცბაია**, ნიკოლაუ (ფრუსოსი 65), სამარასი (ჰაჯი 20), მარაგოსი, **წიტაიშვილი**, კაბადაისი

მსაჯი: ტომი სკიერვენი (ნორვეგია)

15 000 მაყურებელი

**დინამო** (უკრაინა) 2:2 **თუნი** (შვეიცარია)

1:0 ო. გუსევი (20), 1:1 როდოლფო (38ს.კ.), 2:1 შაცკიხი (43), 2:2 აგერტერი (65)

**ანდერლეხტი** (ბელგია) 5:0 **ნეფთჩი** (აზერბაიჯანი)

1:0 ტიჰინენი (20), 2:0 იესტროვიჩი (23), 3:0 მ. მპენზა (32), 4:0 გოორი (40), 5:0 ვანდერეგე (78)

**ნეფთჩი:** ჰასანზადე (მიკოვიჩი 46), აბასოვი, **აბრამიძე**, გაფიტულინი (გეტმანი 9), ა. სადიგოვი, ბორეცი, მამედოვი, კორდასი, **ადამია**, მიშურა (სუბაშიჩი 74), ნაბიევი

მსაჯი: დარკო ჩეფერინი (სლოვენია)

21 055 მაყურებელი

**კაუნასი** (ლიტვა) 1:3 **ლივერპული** (ინგლისი)

1:0 ბარავიჩუსი (21), 1:1 ჯ. სისე (27), 1:2 კარაგერი (30), 1:3 ჯერარდი (54პ)

**კაუნასი:** კურსკისი, ბაგუზისი, კანჩელსკისი, **მანჩხავა**, ზემლიკასი, ბარევიჩუსი (ბაბეჩკისი 71), პაცევიჩუსი (პეტრენკო 46), ტამოსაუსკასი (მაციულისი 87), კლიმეკი, ბოდერისი, რიმკევიჩუსი

მსაჯი: კნუდ-ერიკ ფისკერი (დანია)

8 300 მაყურებელი

**ვოლერენგა** (ნორვეგია) 1:0 **ჰაკა** (ფინეთი)

1:0 დუშ სანტუში (53)

## 2005 წლის ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

### ნახევარფინალი

სერბეთი 1:3 *ინგლისი* | *საფრანგეთი* 3:2 გერმანია

## ამხანაგური მატჩები

**უტრეხტი** (ჰოლანდია) 0:3 **არსენალი** (ინგლისი)

**ბლეკბერნი** (ინგლისი) 2:0 **მალიორკა** (ესპანეთი)

## ავსტრია

### I დივიზიონი. IV ტური

ალტახი 4:1 შვაინშტადტი

გრატკორნი 3:1 ლინცერი

კაპფენბერგი 3:1 აუსტრია (მ)

კერნტენი 4:2 აუსტრია (ლ)

კუფშტაინი 1:3 ლეობენი

## პოლონეთი

### I ლიგა. I ტური

კორონა 0:0 კრაკოვია

ოდრა 0:0 ზაგლებე

პოგონი 2:0 პლოცკი

ბელხატოვი 0:0 გურნიკი

ლეხი 1:2 პოლონია

ლეჩნა 1:1 ვისლა

## სლოვაკეთი

### I ლიგა

### გადადებული მატჩი

პუხოვი 0:2 დუბნიცა

## ისლანდია

### პრემიერდივიზიონი

### XII ტური

გრინდავიკი 1:3 აკრანესი

ვალიური — ფილკირი გადაიდო

## გერმანია

### ლიგის თასი

### ნახევარფინალი

ბაიერნი 1:2 *შტუტგარტი*

# კარგია ჰონკონგელობა

ეს ჰონკონგელი წყვილი ბედნიერია, რადგან პეკინში 2008 წელს ოლიმპიადა ტარდება და რაც მთავარია, თუ ამ ოლიმპიადის პროგრამაში შემავალ ცხენოსნობებს მათი ქალაქი უმასპინძლებს, ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად საიდანღაც უეჭველი 45 მილიონი დოლარი ჩამოისხმება.




AFP ჰონკონგიდან




AFP სოთიზიდან

# ჩელის ეს ყოფილა და ქუდის ხურებია

აბა, ამას დაგვიხედეთ, რა დღეშია! ეს ველომრბოლი, ლუკა ჩელი, „ტურ დე ვალონიის" პირველი ეტაპის მოგების შემდეგ... არც კი ვიცით, რა დავარქვათ ამას... რა ქვია, კაცო... ისა...

## აქა რა წერია?

შუაში რომ ჭაღარა კაცი დგას, ცნობთ — „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი ალექს ფერგ<ს>ჯსონია. მარცხნივ რომ ახალგაზრდა უდგას, იმასაც ცნობთ — იმავე გუნდის ფეხბურთელი რაიან გიგზია. მარჯვნივ რომ გოგონაა, ვერც თქვენ ცნობთ და ვერც ჩვენ. ფურცლებზე კი, გვითხრეს, რომ ასეთი რამ წერია: „მანჩესტერ იუნაიტედისგან ბავშვებს". ერთი სიტყვით, UNICEF-ის კამპანიაა.




# ვა!



ხედავთ, სად არიან, ხალხნო?! აი, ეს დროებითია! პლაჟის ფრენბურთის ეს სარბიელი პარიზში, ეიფელის კოშკის გადაღმა ააგეს და ფრენბურთის ფედერაციის მსოფლიო ტურის დასრულების შემდეგ დაშლიან.

AFP პარიზიდან



AFP ყარაჩიდან

# მარცხნივ ატლასი, მაღლა შილსტროპი

ალბათ, გინახავთ სქვოში. ვისაც არ უნახავს და იქნებ ამ ფოტოთი შეიქმნას შთაბეჭდილება. მოკლედ, რა ხდება: პაკისტანელი დებიუტანტი ამირ ატლასი გაიჩაჩხა, რათა პაკისტანის ღია ჩემპიონატის ინგლისელი გამარჯვებულის, ჯეიმს უილსტროპის დარტყმული და კედლიდან ასხლეტილი ბურთი არ გადაუვარდეს. როგორც ჩანს, გადაუვარდა, რადგან ინგლისელმა მოიგო 11-4, 11-3, 11-1.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ისაკარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი ლარცანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხოშერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეხელია, ხათუნა ბუხრუხიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ეკატო დვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge